



საქართველოში ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლება უმაღლესი
განათლების საფეხურზე

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

2021 წელი

სარჩევი

შესავალი	3
კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია.....	5
ადამიანის უფლებათა განათლებისადმი გაეროს სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა	8
ადამიანის უფლებათა განათლების მინიმალური სტანდარტი საქართველოში.....	19
ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება უმაღლეს დაწესებულებებში - თვისებრივი კვლევის შედეგები	20
სტუდენტების შეფასებები ადამიანის უფლებების სამართლის სწავლების შესახებ.....	33
დამსაქმებლების შეფასებები ადამიანის უფლებების სამართლის სწავლების შესახებ.....	39
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით	44
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები	46

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემის საყოველთაო კულტურის დანერგვისა და დაცვის მიზნით ეწევა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობას.¹ სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტი, რომლის საქმიანობა მოიცავს არაფორმალური და ფორმალური განათლების სფეროებს.² არაფორმალური განათლების სფეროში სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებს, ფორმალური განათლების სფეროში კი ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა განათლების ინტეგრირებას განათლების ოთხივე საფეხურზე.³

ადამიანის უფლებათა განათლების მიმართ ასეთი სისტემური მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც ერთი მხრივ არ არსებობს ადამიანის უფლებათა ფორმალური განათლების ხანგრძლივი ტრადიცია, მეორე მხრივ კი მზარდია დეზინფორმაციისა და ულტრა მემარჯვენე პოპულიზმის გამავრცელებელი ჯგუფების აქტიურობა, რომელთა რიგებსაც ბოლო პერიოდში ახალგაზრდებიც უერთდებიან.⁴ ახალგაზრდების მიერ ადამიანის უფლებების დაცვა ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად ნაკლებად მიიჩნევა; მაგალითად, 2021 წელს საქართველოში ჩატარებული საზოგადოების განწყობის კვლევის თანახმად, ადამიანის უფლებების დაცვას ახალგაზრდების მხოლოდ 10-12% მიიჩნევდა მნიშვნელოვან მიმართულებად.⁵ აღნიშნულის ფონზე მნიშვნელოვანია 2018 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლითაც გამოვლინდა ადამიანის უფლებათა შესახებ მოსწავლეთა, პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.⁶ კვლევამ ცხადყო უფლებათა საკითხებზე აღნიშნული სამიზნე ჯგუფების ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების აუცილებლობა. წინამდებარე კვლევის მიზანი უმაღლესი იურიდიული განათლების საფეხურზე იმის კვლევაა, თუ რამდენად ეფექტიანად ხდება სამართლის პროგრამებში ადამიანის უფლებათა ცოდნისა და უნარების შესწავლა.

საქართველოს სახალხო დამცველს, საზოგადოებაში ადამიანის უფლებების ცოდნის გავრცელების კუთხით ასევე სპეციალური მანდატი აქვს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის საფუძველზე, რაც დისკრიმინაციის საკითხებზე სხვადასხვა

¹ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მესამე პუნქტი.

² დეპარტამენტის ფუნქციების შესახებ ვრცლად იხ. <https://ombudsman.ge/geo/akademiiis-shesakheeb>

³ სკოლამდელი აღზრდის, სასკოლო განათლების, უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურები.

⁴ Freedom House, April Gordon. “Reflections on Ukraine, Georgia, and Armenia”. Special Report 2020: A New Eurasian Far Right Rising. (2020), ხელმისაწვდომია < <https://bit.ly/3DRUAF> >

⁵ „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, 2021 წელი, NDI, CRRC, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3nkj4IY> >, გვ. 51-54.

⁶ ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3nllgzV> >

ღონისძიებების საშუალებით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს.⁷ ამასთან, სახალხო დამცველის აპარატი ბავშვის უფლებათა კოდექსის საფუძველზე, ასევე ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებებს ახორციელებს.⁸

შესაბამისად, ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველი შეისწავლის ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევებს და გამოწვევებს, მეორე მხრივ კი, უშუალოდ ახორციელებს საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რაც აუცილებელი წინაპირობაა ზოგადად ადამიანის უფლებების დარღვევებზე სათანადო რეაგირებისა და მათი თავიდან არიდებისათვის.

სახალხო დამცველის მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებაში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის გავრცელებაში აღიარებულია გაერთიანებული ერების მიერ 1993 წლის ადამიანის უფლებების შესახებ მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული ვენის დეკლარაციისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე,⁹ ასევე გაეროს 2011 წლის დეკლარაციით ადამიანის უფლებების განათლებისა და ტრენინგის შესახებ.¹⁰

გაეროს მიერ 2011 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა განათლებისა და ტრენინგების შესახებ დეკლარაციის შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს აქვს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, ხოლო სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა განათლებისა და ტრენინგის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრებათ.¹¹

„ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება და ტრენინგი არსებითია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უნივერსალური პატივისცემისა და დაცვისათვის...“

გაეროს დეკლარაცია ადამიანის უფლებების განათლებისა და ტრენინგის შესახებ

უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ. 2020-2021 წლის პერიოდში საქართველოში მხოლოდ

⁷ იხ. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 6, ასევე საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 14¹, მე-2 პუნქტი, „ი“ ქვეპუნქტი.

⁸ იხ. საქართველოს კოდექსი ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 70.

⁹ იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა შესახებ 1993 წლის ვენის დეკლარაციის სამოქმედო გეგმა, მუხლი 1.36, ელ. ვერსია იხ. < <https://goo.gl/CQcciy> >

¹⁰ იხ. გაეროს 2011 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებების განათლებისა და ტრენინგების შესახებ, მუხლი 11, ელ. ვერსია იხ. < <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/467/04/PDF/N1146704.pdf?OpenElement> >

¹¹ იხ. ადამიანის უფლებების განათლებისა და ტრენინგის შესახებ გაეროს დეკლარაცია - A/RES/66/137 <https://bit.ly/3hLODKT>

სამართლის საბაკალავრო პროგრამებზე 14 653 ათასი სტუდენტი სწავლობდა.¹² სამართლის პროგრამების გარდა, სამართლის სტუდენტებს ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საზოგადოებაში, მათ ოჯახებში, მეგობრებსა და ნაცნობებში ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში.

ამავე დროს მომავალი იურისტები, მათი პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, პოტენციური საჯარო მოხელეებიც არიან და საქმიანობას სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში განაგრძობენ. ასევე, მათი ნაწილი მომავალში კერძო სექტორში დასაქმდება და ადამიანის უფლებებთან ექნება კავშირი სხვადასხვა ფორმით. ამდენად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, შესწავლილი და შეფასებულია რამდენად სათანადო ცოდნას იღებენ მომავალი იურისტები სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, სახალხო დამცველის საგანმანათლებლო მანდატის ფარგლებში, უმაღლესი განათლების საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლების გაუმჯობესება აღნიშნულ სფეროში საჭიროებების შესწავლის გზით, რაც სახალხო დამცველის აპარატს დაეხმარება ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროში შესაბამისი რეკომენდაციებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

წინამდებარე სპეციალური ანგარიშის ფარგლებში შესწავლილია ადამიანის უფლებების განათლებისა და ტრენინგის შესახებ გაეთიანებული ერების ორგანიზაციის 2011 წლის დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა შესახებ უმაღლესი განათლებისადმი განსაზღვრული მიდგომები, ასევე რამდენიმე ევროპული და აშშ-ის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლების საუკეთესო მაგალითები. აღნიშნული 3 უნივერსიტეტიდან ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი შეირჩა გერმანიასა და ევროპაში მისი მაღალი რეპუტაციის საფუძველზე,¹³ აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტი სამართლის სწავლების მიმართულებით მისი გლობალური რეპუტაციიდან გამომდინარე, ხოლო ესექსის უნივერსიტეტი ადამიანის უფლებათა სწავლების ხანგრძლივი ისტორიისა და ქართველ სტუდენტებს შორის მისი პოპულარობის საფუძველზე.¹⁴

ანგარიშის მიზნებისთვის ჩატარდა თვისებრივი კვლევა, კერძოდ განხორციელდა ინდივიდუალური, ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფის დისკუსიები. ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ მონაცემები შეგროვდა საქართველოს 9 უმაღლესი

¹²სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში ACT/USAID-PROLoG გვ. 24, ხელმისაწვდომია < <https://bit.ly/3FKWqSM> >

¹³ ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3FEn67q> >

¹⁴ იხილეთ < <https://smr.gov.ge/ge/page/57/saqartvelos-mtavrobis-dafinansebit> >

საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამების მაგალითზე და შედეგად შემუშავდა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია შეიმუშავა „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ (შემდგომში, „CRRC საქართველო“). საგანმანათლებლო დაწესებულებების შერჩევა კი განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ა) საჯარო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის ჩარიცხული აბიტურიენტებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობების მიხედვით (ჩარიცხულთა/კურსდამთავრებულთა ყველაზე მეტი და ნაკლები რაოდენობა);
- ბ) თბილისისა და რეგიონის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- გ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტების მიერ პირველადი შემოხაზვებით მაღალი რეიტინგის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

კვლევის საანგარიშო პერიოდად აღებულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის ერთი სასწავლო ციკლი (2012-2015 წლების ჩარიცხვებისა და 2016-2019 წლების კურსდამთავრებულთა რაოდენობები).¹⁵ შესაბამისად, ანგარიში არ მოიცავს იმ რეალობას, რომელიც COVID 19-მა და დისტანციური სწავლების რეჟიმმა განაპირობა. პრაქტიკამ უჩვენა, რომ ონლაინ სწავლების ფორმატი კიდევ უფრო მეტი გამოწვევის წინაშე აყენებს ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესს, განსაკუთრებით კი პრაქტიკული საგანმანათლებლო აქტივობების წარმართვას.¹⁶

აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე კვლევაში მონაწილეობისთვის შეირჩა შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (ცხრილი 1):

ცხრილი 1.

საველე კვლევის ფარგლებში შესწავლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	
1	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
3	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

¹⁵ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები მოპოვებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისგან და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან.

¹⁶ იხილეთ „COVID-19 პანდემიის დროს სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შეფასების კვლევა“ ნ. ხანთაძე, 2020 წელი < <https://bit.ly/3co6C7c> >

7	შპს - თბილისის დია სასწავლო უნივერსიტეტი
8	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
9	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გაიმართა ჩაღრმავებული ინტერვიუები აღნიშნული დაწესებულებების სამართლის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელებთან/სამართლის სკოლის/ფაკულტეტის დეკანებთან, ასევე ადამიანის უფლებების საგნის შესაბამის ლექტორებთან. ასევე, ჩატარდა ფოკუს ჯგუფების დისკუსიები შერჩეული სამართლის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან, და შერჩეულ დამსაქმებლებთან საჯარო, არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.¹⁷ სულ გაიმართა 18 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 14 ფოკუს ჯგუფი (ცხრილი 2).

ცხრილი 2

კვლევაში მონაწილე სამიზნე ჯგუფები	სტუდენტი	ლექტორი	დეკანი/ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი	დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები
რესპონდენტთა რაოდენობა	70	9	9	37
სულ: 125				

CRRC-იმ, სახალხო დამცველის აპარატთან და USAID/PROLoG-თან შეთანხმებით, შეიმუშავა კვლევის კითხვარები ყოველი სამიზნე ჯგუფისთვის. ასევე, შერჩეული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოხდა სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურიკულუმებისა და შესაბამისი საგნის სილაბუსების გამოთხოვა და შესწავლა. თვისებრივი კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა და შესაბამისი მიგნებები და რეკომენდაციები შეიმუშავა სამართლებრივმა მკვლევარმა ნათია ხანთაძემ.

თვისებრივი კვლევის სავსე სამუშაოები ჩატარდა 2020 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში. 2021 წლის ივლის-აგვისტოში კი დამატებით განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან. ამ ინტერვიუების მიზანი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და უნივერსიტეტების თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლა იყო.

შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში მოიცავს შერჩეული 9 უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში ადამიანის უფლებათა მიმართულებით სწავლების ეფექტიანობის ანალიზს. ანგარიშში შეფასებულია ადამიანის უფლებების სამართლის მიმართულებით ცოდნისა და შესაბამისი უნარების განვითარებისკენ მიმართული

¹⁷ თბილისში, ბათუმში, გორსა და ახალციხეში.

სავალდებულო საგანმანათლებლო კომპონენტები. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოვლენილი შედეგების განზოგადების საფუძველზე, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდა და ანგარიშში აისახა შესაბამისი რეკომენდაციები სამართლის საბაკალავრო პროგრამებისთვის, ადამიანის უფლებათა სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით.

ადამიანის უფლებათა განათლებისადმი გაეროს სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა

უმაღლესი განათლების საფეხურზე ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიდგომები განსაზღვრულია რბილი სამართლის დოკუმენტების და პრინციპების საფუძველზე. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, მიმოხილული იქნება ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ გაეროს ფარგლებში მიღებული ზოგიერთი დოკუმენტი. ადამიანის უფლებათა განათლებისა და ტრენინგის შესახებ დეკლარაციის თანახმად, ადამიანის უფლებათა განათლება უნდა ეფუძნებოდეს გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებს, ისე რომ:

„წვლილი შეიტანოს ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენციაში და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაში, რასიზმის, სტერეოტიპების და სიმულვილისკენ მოწოდების და ისეთი დამაზიანებელი დამოკიდებულებების და ცრურწმენების პრევენციაში, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას უქმნის საფრთხეს.“

გაეროს დეკლარაცია ადამიანის უფლებების განათლებისა და ტრენინგის შესახებ

ამასთან, ამავე დოკუმენტის მიხედვით, ადამიანის უფლებათა განათლების ხელშეწყობის კუთხით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდნენ:

„საზოგადოების სხვადასხვა აქტორები, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მედია, ოჯახები, ადგილობრივი თემები, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა დამცველები და კერძო სექტორი, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანის უფლებათა განათლებისა და ტრენინგის ხელეწყობასა და განხორციელებაში.“

გაეროს დეკლარაცია ადამიანის უფლებების განათლებისა და ტრენინგის შესახებ

ზემოხსენებული როლის გააზრებისა და საგანმანათლებლო პრაქტიკაში მისი ეფექტიანი ხორცშესხმისთვის, შემუშავდა ადამიანის უფლებათა განათლების მსოფლიო პროგრამის მეორე ფაზა. ხსენებული დოკუმენტი, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს ადამიანის

უფლებათა განათლების სახელმძღვანელო პრინციპებსაც, რომელიც უმაღლესი განათლების სფეროში უნდა იქნეს გამოყენებული:

„ადამიანის უფლებათა განათლების აქტივობები:

- *უნდა ახალისებდეს ადამიანის უფლებების ქრონიკული და ახალი ტიპის პრობლემების ანალიზს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური სფეროების სწრაფად ცვალებადი განვითარების ფონზე, რისი შედეგიც იქნება შესაბამისი პრობლემის გადაჭრისას ადამიანის უფლებების სტანდარტების გამოყენება“¹⁸*
- *ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით ადგილობრივი, ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გამოყენებისთვის ცოდნისა და უნარების განვითარებას“¹⁹*
- *უნდა იყოს რელევანტური სტუდენტების ყოველდღიურ ცხოვრებაში, სტუდენტს უნდა უბიძგებდეს ჩაერთოს დიალოგში ადამიანის უფლებათა აბსტრაქტული ნორმების, მათი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური პირობების მიხედვით ტრანსფორმაციის გზებისა და საშუალებების შესახებ“²⁰*

ადამიანის უფლებათა განათლების მსოფლიო პროგრამა, მეორე ფაზა, სამოქმედო გეგმა, ადამიანის უფლებათა განათლების პრინციპები

საგულისხმოა ისიც, რომ პროგრამა 2010-2014 წლებისათვის განსაზღვრავდა არაერთ ღონისძიებას ფორმალური განათლების ამ სტადიაზე ადამიანის უფლებათა სწავლების დონის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულთა შორის იყო სახელმწიფოთა მიერ სპეციალური კვლევის ჩატარება უმაღლეს სასწავლებლებში ადამიანის უფლებათა განათლების ხარისხის შესაფასებლად²¹. სამწუხაროდ, აღნიშნული კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა. ამდენად, სახელმწიფომ დღემდე არ იცის, რამდენად ეფექტიანად ხორციელდება ადამიანის უფლებათა სწავლება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში.

მსოფლიო პროგრამა ასევე მიუთითებს, რომ ეფექტიანი განათლება ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნასთან ერთად, აუცილებლად გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი განმტკიცებისთვის საჭირო უნარების განვითარებასაც:

„ადამიანის უფლებათა შესახებ ეფექტიანი განათლება გულისხმობს არა მხოლოდ ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ცოდნას, არამედ ისეთი უნარების განვითარებასაც, რომლებიც ემსახურება ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობას ყოველდღიურ ცხოვრებაში.“²²

¹⁸ გაეროს ადამიანის უფლებათა განათლების მსოფლიო პროგრამა, მეორე ფაზა, სამოქმედო გეგმა გვ. 14.
< <https://bit.ly/39nhQaw> >

¹⁹ იქვე, გვ. 15.

²⁰ იქვე, გვ. 15.

²¹ იქვე, გვ. 39.

²² იქვე, გვ. 2.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა განათლება არ მოიცავს მხოლოდ თეორიულ კურსებს, სადაც სტუდენტები ადამიანის უფლებათა ნორმებსა და სხვადასხვა დონეზე მათი დაცვის მექანიზმებს შეისწავლიან. ადამიანის უფლებათა განათლება აუცილებლად გულისხმობს პრაქტიკული გამოცდილების შექმნას, ისეთი უნარების განვითარებასა და გამოყენებას, რომლებიც სტუდენტებს აღჭურავს ცოდნითა და უნარებით, რომ მათ შესაბამის კულტურულ კონტექსტში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო თუ ეროვნული სტანდარტების საფუძველზე, უპასუხონ ქვეყანაში არსებულ ადამიანის უფლებათა გამოწვევებსა და საჭიროებებს და მათი გადაჭრისთვის პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა:

„ადამიანის უფლებათა განათლების აქტივობები უნდა გადასცემდეს ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორც არის თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა, ისე, რომ განამტკიცოს ადამიანის უფლებების ურთიერთდამოკიდებულება, განუყოფადობა და უნივერსალურობა. ამავე დროს, აქტივობები უნდა იყოს პრაქტიკული და უნდა უკავშირდებოდეს სტუდენტის რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და შესაძლებლობას აძლევდეს მას იმუშაოს ადამიანის უფლებებზე, მის საკუთარ კულტურულ კონტექსტზე დაფუძნებით. ასეთი აქტივობები სტუდენტებს აძლიერებს, რომ განსაზღვრონ და უპასუხონ ადამიანის უფლებათა საჭიროებებს და ეძიონ ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი გამოსავალი“²³

ადამიანის უფლებათა სწავლების ხელშეწყობას ეთმობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) #4.7., რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს:

“2030 წლისთვის უზრუნველყონ რომ ყველა მოსწავლემ/სტუდენტმა შეიძინოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. რაც მათ შორის მოიცავს განათლებას მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების მდგრადი წესის შესახებ, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის შესახებ, გლობალური მოქალაქეობის, ასევე კულტურული მრავალფეროვნების და ისეთი კულტურის შესახებ, რომელსაც მდგრად განვითარებაში შეაქვს წვლილი“²⁴.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატსა (OHCHR) და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტთან (DIHR) თანამშრომლობით, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისთვის შემუშავდა SDG 4.7. მიზნის ფარგლებში ადამიანის უფლებათა შესახებ

²³ იქვე, გვ. 2.

²⁴ იხ. < <https://sdg.gov.ge/goals-details-inner/4> >

განათლების განხორციელების 4.7.1. ინდიკატორის²⁵ შესრულების მონიტორინგის ჩარჩო დოკუმენტი.²⁶ აღნიშნული დოკუმენტი ეხმარება მონაწილე სახელმწიფოებსა და ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს SDG 4.7-ის შესრულების მონიტორინგში. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი წინამდებარე კვლევის საფუძველზე ასევე ხელს უწყობს მდგრადი განვითარების 4.7 მიზნისთვის განსაზღვრული 4.7.1 ინდიკატორის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადების პროცესს.

საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით კი განხილულია, როგორც რომანულ-გერმანული, ისე ანგლო-საქსური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების გამოცდილება უმაღლესი განათლების სფეროში სამართლის ფაკულტეტებზე უფლებათა სწავლების კუთხით. კერძოდ, განიხილება გერმანიის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის, ინგლისის ესექსის უნივერსიტეტისა და აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის პროგრამების ფარგლებში ადამიანის უფლებათა სწავლება.

1) *ბერლინის ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი*²⁷

ბერლინის ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე ადამიანის ძირითადი უფლებების სწავლება კურიკულუმით გათვალისწინებული განათლების ოთხი ძირითადი კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება და მოიცავს საბაზისო (საფუძველების სწავლება), ძირითად, სპეციალიზაციისა და გაღრმავების კურსებს. თეორიული კურსების სწავლებასთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული უნარების განვითარების ისეთ კომპონენტებს, როგორცაა იურიდიული კაზუსების დამუშავება. აღნიშნულით სტუდენტები, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის უნარს ივითარებენ, ასევე გადიან თეორიული ცოდნის პრაქტიკულ მაგალითებზე გამოყენების სპეციალურ კურსებს. სამართლის საბაკალავრო პროგრამა შედგება შემდეგი სასწავლო კომპონენტებისგან:

ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტის ბერლინის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა
საფუძველების სწავლება (Grundstudium)
ძირითადი სწავლება (Hauptstudium)
პროფესიის დამატებითი კვალიფიკაცია (Berufsbezogene Zusatzqualifikationen)

²⁵ 4.7.1: (i) გლობალური მოქალაქეობის ჩამოყალიბებისკენ მიმართული განათლების და (ii) მდგრადი განვითარების, გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობისკენ მიმართული განათლების ინტეგრირების დონე: ა) სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტებში; ბ) სასწავლო პროგრამებში; გ) მასწავლებელთა მომზადება/გადამზადების პროგრამებში; დ) მოსწავლეთა შეფასების სისტემაში.

²⁶ ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3bQTgAR> >

²⁷ ვრცლად იხილეთ < <https://www.rewi.hu-berlin.de/de/sp/2015> >

სპეციალიზაცია (Schwerpunktsstudium)

სწავლის გაღრმავება (Vertiefungsstudium: Universitätsrepetitorium)

საფუძვლების სწავლების (Grundstudium) საფეხური მოიცავს სავალდებულო მოდულების სწავლებას, მათ შორის ადამიანის უფლებების მიმართულებით. სტუდენტები შეისწავლიან თეორიულ საკითხებს და ასევე, გამოიმუშავენ ადამიანის უფლებების კაზუსების სამართლებრივი დამუშავების უნარებს.

საფუძვლების სწავლება

ძირითადი უფლებების სავალდებულო კურსი

იურიდიული კაზუსების დამუშავების კურსი ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით

სამართლის საფუძვლების მოდული, სადაც სტუდენტები შეისწავლიან კონსტიტუციის ისტორიას და სხვა თეორიულ საგნებს

აღსანიშნავია, რომ საბაზისო განათლების საფეხურზე, რომელიც პირველ და მეორე სემესტრებს მოიცავს, სტუდენტები ერთი მხრივ ადამიანის უფლებათა შესახებ თეორიულ ცოდნას იღებენ, მეორე მხრივ კი ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის დამუშავების გზით შეისწავლიან იურიდიული კაზუსების ამოხსნას. შესაბამისად, პირველივე წელს განათლება მოიცავს, როგორც თეორიულ, ისე უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ კურსებს.

ძირითადი სწავლება (Grundstudium) მესამე და მეოთხე სემესტრებს მოიცავს. ამ ორ სემესტრში სტუდენტები შეისწავლიან 5 სავალდებულო მოდულს, რომლიდანაც ერთი, სავალდებულო საჯარო სამართლის მოდულია. ხსენებული ასევე მოიცავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებების შესახებ საკითხებს. შესაბამისად, სტუდენტები ადამიანის ძირითად უფლებებს რეგიონულ და საერთაშორისო ჭრილში შეისწავლიან. ამ მოდულის წარმატებით დასრულება სტუდენტის პირველ სახელმწიფო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა. თავის მხრივ, ამ გამოცდის ჩაბარება სრული იურისტის კვალიფიკაციის მოპოვების გზაზე პირველი ნაბიჯია. სტუდენტები ხსენებული ეტაპის გავლის შემდეგ, დამატებით პრაქტიკულ განათლებას იღებენ, სანამ მეორე სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების უფლებას მოიპოვებენ, რომელიც სრული იურისტის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად ასევე სავალდებულოა.

პროფესიის დამატებითი კვალიფიკაცია (Berufsbezogene Zusatzqualifikationen) სწავლების ეს კომპონენტი მიზნად პროფესიისთვის აუცილებელი უნარების გამოიმუშავებას ისახავს.

პროფესიის დამატებითი კვალიფიკაცია

პროფესიული უნარების კურსები
პროფესიული უცხო ენა
3 თვიანი პრაქტიკა

პროფესიული უნარების კურსები სავალდებულოა და სტუდენტები ვალდებული არიან აირჩიონ უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსები. ამ კურსებში ხდება ისეთი უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავება, რომლის გამოყენებაც სტუდენტებს სხვადასხვა მიმართულებით შეუძლიათ. ეს შეიძლება იყოს კომუნიკაციის ან მოლაპარაკებების წარმოების უნარები, აკადემიური წერის უნარები და სხვა. მათ შორის, პროფესიის დამატებითი კვალიფიკაციის გამომუშავებაზე ორიენტირებულ კომპონენტში სტუდენტებს შეუძლიათ ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით შესაბამისი (უფლებების მიმართულებით) უცხო ენოვანი კურსების არჩევა.

პროფესიული უცხო ენის მოდულში სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ სამართლებრივი უცხო ენა, ენების შესწავლის ცენტრის მიერ შეთავაზებული კურსები, ან ერთი სემესტრი ისწავლოს სხვა ქვეყნის სამართლის პროგრამაში, ან აიღონ სხვა ქვეყნის სამართლის შემსწავლელი კურსი, ან იურიდიული ფაკულტეტის მიერ უცხო ენაზე შეთავაზებული პროგრამა.

3 თვიანი პრაქტიკა - სტუდენტები უნივერსიტეტის გარეთ, მათი ინტერესის შესაბამისად, ირჩევენ პრაქტიკის ადგილს, სადაც 3 თვე მუშაობენ იურისტის ზედამხედველობის ქვეშ.

პროფესიის სპეციალიზაციის საგნების შესწავლა (Schwerpunktsstudium) - პროფესიის სპეციალიზაციის საგნების შესწავლა ხდება ორი სემესტრის განმავლობაში, როგორც წესი მე-5 და მე-6 სემესტრებში. ამ საგნების საფუძველზე სტუდენტი აბარებს სპეციალურ გამოცდას, რომლის ქულაც პირველი სახელმწიფო გამოცდის საერთო ქულის 30%-ს შეადგენს. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის სასურველი სპეციალიზაცია, რომელიც მათ შორის მოიცავს სპეციალიზაციას - „სახელმწიფო და ადმინისტრაცია ცვლილებების პროცესში“. ამ სპეციალიზაციაში სტუდენტები სხვადასხვა საგანთან ერთად შეისწავლიან შედარებით კონსტიტუციურ სამართალს და ადამიანის უფლებათა სამართალს შედარებით პერსპექტივაში.

სწავლის გაღრმავება (Vertiefungsstudium: Universitätsrepetitorium) ხდება მე-7 და მე-8 სემესტრებში და მისი მიზანია სტუდენტების პირველი სახელმწიფო გამოცდის საგნებისთვის მომზადება, ამ საგნებში ცოდნის გაღრმავება და ცოდნის გამოყენება. სტუდენტები, მათ შორის გადიან საჯარო სამართლის მიმართულებით მოსამზადებელ კურსებს, ასევე აბარებენ საცდელ გამოცდას და ემზადებიან წერითი გამოცდისთვის. სტუდენტებს დამატებით შეუძლიათ გამოცდის სიმულაციაში მონაწილეობა.

2) ესექსის უნივერსიტეტი²⁸

ესექსის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა (LLB in Law) სამი წელი გრძელდება. პირველი წელი ეთმობა სავალდებულო საგნების სწავლებას, მათ შორის სამართლებრივი და პროფესიული უნარების სწავლებას, როგორც არის გადაწყვეტილებების კითხვა და ანალიზი, დამოუკიდებლად კვლევითი საკითხის დამუშავება. *პირველ წელს* სავალდებულოა საჯარო სამართლის მოდული, რაც მოიცავს ადამიანის უფლებათა შიდა ინგლისური სამართლისა და ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სწავლებას. სწავლება ხდება სახელმძღვანელოების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების თეორიულ საკითხებს, ისე უშუალოდ სასამართლოს გადაწყვეტილებების კითხვისა და კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებას.

მეორე წელს სტუდენტები სავალდებულო საგნებთან ერთად, მათი ინტერესების საფუძველზე, ირჩევენ შესაბამის საგნებს. სავალდებულო საგნებს შორის სტუდენტები სწავლობენ ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა სამართალს. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ კურსი საჯარო სამართლის აქტუალური საკითხების შესახებ, სადაც ლექტორის ხელმძღვანელობით მცირე კვლევის მომზადებაა შესაძლებელი. ამავე კურსში სტუდენტები სწავლობენ თუ როგორ იმუშაონ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც უნივერსიტეტის კვლევის საგანია. ამიტომ კურსის თემატიკა ყოველწლიურად იცვლება და ხდება მისი მისადაგება საჯარო სამართლის აქტუალურ საკითხებთან. კურსში სტუდენტი იძენს საჯარო სამართლის კონკრეტულ სფეროებში სიღრმისეულ ცოდნას და ივითარებს მრავალფეროვან სამართლის წყაროებთან, მათ შორის, უშუალოდ სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მუშაობის უნარებს. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ სამართლის პრაქტიკა, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტის მიერ შერჩეულ ორგანიზაციაში მუშაობას, მინიმუმ სრული 3 კვირის განმავლობაში. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ სამართლის კლინიკის კურსი, რომელიც უნივერსიტეტის ბაზაზე ხორციელდება.

მესამე წელს სტუდენტები სავალდებულოდ სწავლობენ იურისპრუდენციის კურსს და ასევე შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა მოდული. იურისპრუდენციის კურსში სტუდენტები შეისწავლიან სამართლის ფილოსოფიის საკითხებს, როგორც არის ბუნებითი სამართლის თეორია, სამართლის კლასიკური პოზიტივიზმი, სამართლის თანამედროვე პოზიტივიზმი და სამართლის თეორიაში სხვა თანამედროვე სკოლების ძირითადი თეორიები. მე-3 წელს სტუდენტები ასევე სავალდებულოდ წერენ დამოუკიდებელ კვლევით ნაშრომს მათ მიერ შერჩეულ სამართლებრივ საკითხზე. სტუდენტების არჩევითი კურსების კატალოგი ფართოა და მოიცავს როგორც იურიდიული პრაქტიკისა და კლინიკის კურსებს, ასევე ვიწრო სპეციალობით სხვადასხვა კურსებს, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოში ადამიანის

²⁸ პროგრამის შესახებ იხ. < <https://www.essex.ac.uk/courses/ug00235/1/llb-law> >

უფლებათა დაცვის შესახებ კურსს, სადაც სტუდენტები გაერთიანებული სამეფოს კანონს ადამიანის უფლებების შესახებ (Human Rights Act 1998) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ფონზე შედარებითად შეისწავლიან.

ესექსის უნივერსიტეტის გლობალური რეპუტაცია ადამიანის უფლებათა სწავლების კუთხით უმეტესწილად განპირობებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center)²⁹ მრავალწლიანი (1983 წლიდან) საქმიანობით. ცენტრის მიერ შემოთავაზებული ბაკალავრიატის (ასევე მაგისტრატურისა და სადოქტორო) კურსები ადამიანის უფლებათა სამართლის საკითხებთან ერთად, სტუდენტებს სთავაზობს მულტიდისციპლინურ მიდგომას და უფლებათა საკითხების პოლიტიკის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და ისტორიის პერსპექტივაში განიხილავს. აღნიშნული მიდგომა თეორიულ საფუძვლებთან ერთად, კომპლექსური ცოდნითა და შეფასების ინსტრუმენტებით აღჭურავს სტუდენტებს, რათა მათ შეძლონ ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე უფლებათა დარღვევების გამომწვევი მიზეზებისა და პოლიტიკური მოვლენების ინტერპრეტაცია. კურსი მიზნად ისახავს სტუდენტების კრიტიკული აზროვნების განვითარებას, რაციონალური, თანმიმდევრული და სამართლებრივად ზუსტი არგუმენტების მოშველიებას ზეპირი დისკურსისა თუ წერილობითი ნაშრომების მომზადების მიზნით.³⁰

3) კოლუმბიის უნივერსიტეტი

აშშ-ში სამართლის პროგრამები უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე ისწავლება და მასზე მოსახვედრად აუცილებელია სხვა მიმართულებით სამართლის ბაკალავრის ხარისხის ფლობა.³¹ შესაბამისად, ქვემოთ განვითარებული მსჯელობა ბუნებრივად ვერ შეეხება უშუალოდ საბაკალავრო პროგრამას. ამის მიუხედავად მნიშვნელოვანია ადამიანის ძირითადი უფლებების განათლების კუთხით აშშ-ის სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითის განხილვა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა³² გრძელდება სამი წელი და მოიცავს სავალდებულო და არჩევით საგნებს.³³ ცხრილში მოცემულია პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტები.

სავალდებულო საგნები
საკონსტიტუციო სამართალი
სასამართლოს იმიტირებული პროცესი

²⁹ იხ: < <https://www.essex.ac.uk/centres-and-institutes/human-rights> >

³⁰ იხ: < <https://www.essex.ac.uk/courses/ug01049/1/llb-law-with-human-rights> >

³¹ იხ: < <https://bit.ly/3EyrAft> >

³² Juris Doctor პროგრამა.

³³ იხ: < <https://www.law.columbia.edu/academics/jd-program-and-curriculum> >

სამართლის მეთოდები I და სამართლის მეთოდები II
სამართლის პრაქტიკული სემინარი
სამართლებრივი ეთიკის კურსი
სამართლის პრაქტიკული კურსი
სამართლებრივი წერის კურსი
Pro Bono საქმიანობა

ეს პროგრამა ზემოთ მოყვანილი ორი უნივერსიტეტის პროგრამებთან შედარებით ყველაზე მეტად მასში პრაქტიკული კომპონენტების სიმრავლით გამოირჩევა. სწავლების სამივე წელს სტუდენტებისთვის სავალდებულოა, როგორც ადამიანის უფლებების შესახებ თეორიული საკითხების შესწავლა, ისე სასამართლოს იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა.

სამართლის პროგრამის სტუდენტები პირველ წელს საბაზისო ცოდნასა და უნარებს იძენენ. საგნების უმრავლესობა სავალდებულოა და სტუდენტებს მხოლოდ რამდენიმე საგნის არჩევა შეუძლიათ. სავალდებულო საგნებს შორის არის საკონსტიტუციო სამართალი, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების სამართალს და ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ მნიშვნელოვან სასამართლო პრეცედენტებს. პირველ წელს სტუდენტებისთვის სავალდებულოა ასევე იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობა, რისთვისაც სტუდენტები თავად ადგენენ სასამართლოში წარსადგენ დოკუმენტებს, ამზადებენ არგუმენტებს და ზეპირად წარუდგენენ იმიტირებული სასამართლო პროცესის მოსამართლეებს. უნივერსიტეტის მიერ მოწონებული იმიტირებული სასამართლოს პროცესების შეჯიბრებიდან სტუდენტს, მისი ინტერესის შესაბამისად, შეუძლია აირჩიოს ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართულებით შეთავაზებული შეჯიბრებები.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამართლის მეთოდების ორ სავალდებულო კურსს. ამ კურსებში სტუდენტები ეცნობიან სამართლის წყაროებს, მათი მოძიებისა და ანალიზის მეთოდებს. კურსის მიზანი სტუდენტებში სასამართლოს გადაწყვეტილებების კითხვის და ანალიზის, მათი მოძიების და გამოყენების უნარების განვითარებაა. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ შესაბამისი სფეროს, მათ შორის ადამიანის უფლებათა სამართლის სფეროდან სასამართლო გადაწყვეტილებები, წაიკითხონ და გაანალიზონ ისინი.

პროგრამის პირველ წელს სტუდენტები ასევე სავალდებულოდ მონაწილეობენ სამართლის პრაქტიკის ორ სემინარში, რომლის მიზანიც სტუდენტების მიერ სამართლის ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გამოყენებაა. სტუდენტები იკვლევენ და ამზადებენ წერილობით დავალებებს აპელაციის ინსტანციისთვის წარსადგენად. ეს კურსი მეორე სემესტრში ისწავლება და სასამართლოს იმიტირებული პროცესების გაგრძელებაა.

მეორე და მესამე წელს შეთავაზებული საგნების დიდი ნაწილი არჩევითია. სავალდებულო კომპონენტებია პროფესიული ეთიკის კურსი, სამართლებრივი წერის კურსი და პრაქტიკული, ე.წ. გამოცდილების მიღებაზე დაფუძნებული კურსები, ასევე უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა.

უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული **პრაქტიკული კურსები** მოიცავს კლინიკებს, იურიდიულ პრაქტიკას, პოლიტიკის ლაბორატორიასა და სიმულაციებს³⁴.

პრაქტიკული, ე.წ. გამოცდილების საფუძველზე სწავლის კურსები
კლინიკა
იურიდიული პრაქტიკა
პოლიტიკის ლაბორატორია
სიმულაცია

კლინიკა - კოლუმბიის უნივერსიტეტში სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებს სამართლის კლინიკები. სტუდენტს შეუძლია, როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის, ისე მიგრანტების უფლებების დაცვის სამართლის კლინიკაში მონაწილეობა.

ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა სტუდენტებს ამზადებს ადამიანის უფლებების ადვოკატირებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კლინიკაში სტუდენტები უშუალოდ შეისწავლიან ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევებს, ამზადებენ ადამიანის უფლებების შესახებ ანგარიშებს, სასამართლოში წარმოადგენენ კლიენტებს, ეწევიან მედიაში უფლებათა ადვოკატირებას და ასევე იყენებენ სხვა ინოვაციურ მეთოდებს. სტუდენტები მონაწილეობენ სემინარში, ამზადებენ პროექტს და მუშაობენ პროფესორის მენტორობის ქვეშ. კლინიკის მიზანია სტუდენტმა ისწავლოს დამოუკიდებლად მუშაობა, შეძლოს საკუთარი თავის შეფასება და ისწავლოს საკუთარი თავის განვითარება. სემინარზე სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საშუალებით უფლებების ადვოკატირების მექანიზმებს და ტაქტიკას, ასევე ფაქტების მოძიებისა და ინტერდისციპლინური კვლევის წარმოების მეთოდებს. სტუდენტები სწავლობენ როგორ წარმართონ ინტერვიუები მოწმეებთან, უფლებათა დამრღვევებთან და ექსპერტებთან, როგორ შეაფასონ მტკიცებულებები, მოამზადონ ანგარიშები და მოკლე აღწერები. როგორ გამოიყენონ სასამართლო თუ კვაზი სასამართლო მექანიზმები ადამიანის უფლებათა დაცვისთვის, ასევე აწარმოონ უფლებათა ადვოკატირება ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

ადამიანის უფლებათა კლინიკის ფარგლებში სტუდენტები ასევე მონაწილეობენ უფლებათა ადვოკატირების პროექტში. ადვოკატირების პროექტის ფარგლებში სტუდენტები ადგილობრივ სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობენ ადამიანის

³⁴ გამოცდილების შეძენაზე ორიენტირებული კურსების შესახებ ვრცლად იხილეთ: < <https://bit.ly/3E5oYW7> >

უფლებათა ადვოკატირებისთვის. სტუდენტები ყოველ წელს განსხვავებულ პროექტში მონაწილეობენ. პროექტები წარსულში ეხებოდა ისეთ საკითხებს როგორებიც არის: მიგრანტების შრომითი უფლებების დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, ტერორიზმთან ბრძოლის ოპერაციებისას ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევები და სხვა. ადამიანის უფლებების კლინიკის გარდა, სტუდენტებს ასევე შეუძლიათ, მაგალითად აირჩიონ მიგრანტების უფლებების დაცვის კლინიკა.

იურიდიული პრაქტიკა - იურიდიული პრაქტიკა კლინიკისგან იმით განსხვავდება, რომ სტუდენტი პრაქტიკას უნივერსიტეტის გარეთ სხვადასხვა ორგანიზაციაში გადის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აქვს სპეციალურად შემუშავებული პრაქტიკის პროგრამების სია, სადაც სტუდენტების საქმიანობას ზედამხედველობას უწევენ ადვოკატები, თუმცა სტუდენტებს ასევე შეუძლიათ თავად მოიძიონ ორგანიზაცია, სადაც სურთ პრაქტიკის/სტაჟირების გავლა. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტის რომელიმე პროფესორმა, ან ლექტორმა უნდა აიღოს მათი საქმიანობის ზედამხედველობის ვალდებულება. სტაჟირების პროგრამებს შორის კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სიცოცხლის უფლებისა და სიკვდილით დასჯის შესახებ კონსტიტუციური სამართლის სტაჟირების პროგრამაში, სადაც სტუდენტები უვადო პატიმრობაში მყოფ პირებს, ან იმ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ სასიკვდილო განაჩენი ეხმარებიან მათი სასჯელების გასაჩივრებაში. ამ პროგრამაში სტუდენტებს უწევთ სამართლის, პოლიტიკისა და ზოგ შემთხვევაში მედია კვლევების ჩატარება, ასევე ფაქტების მოძიება, შესწავლა, და სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების სტაჟირების პროგრამაში. ამ პროგრამაში სტუდენტები პროკურორთან ერთად იძიებენ და სასამართლოში წარადგენენ ოჯახში ძალადობის შემთხვევებს.

პოლიტიკის ლაბორატორია - სტუდენტებს ასევე შეუძლიათ პრაქტიკული განათლების კრედიტები დააგროვონ საჯარო და განათლების პოლიტიკის სტრუქტურული ცვლილების ლაბორატორიაში. ესპოლიტიკის ლაბორატორია შექმნილია საჯარო საკითხების და ლიდერობის ცენტრის მიერ და აერთიანებს სამართლის, ბიზნესის, პოლიტიკის, განათლებისა და მონაცემთა მეცნიერების სტუდენტებს. პროექტების ფარგლებში ხორციელდება სამართლისა და პოლიტიკის სიღრმისეული კვლევები, რაც ემსახურება იმ ორგანიზაციებისთვის კონსულტაციებს, რომლებიც მუშაობენ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური/ეროვნული წარმომავლობის, დაბალი შემოსავლის ოჯახებიდან არიან, ან სხვა სახის მოწყვლადი ჯგუფებს განეკუთვნებიან. პროგრამაში კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა კიდევ რამდენიმე უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობენ.

სიმულაცია - გულისხმობს სასამართლოს იმიტირებული პროცესების რედაქტირებას. სტუდენტები სავალდებულო იმიტირებული სასამართლოს პროცესების შეჯიბრისთვის ადგენენ საქმეებსა და ამზადებენ საჭირო მასალებს პირველკურსელებისთვის. სტუდენტები ასევე მენტორობას უწევენ პირველკურსელებით დაკომპლექტებულ ჯგუფებს.

ადამიანის უფლებათა განათლების მინიმალური სტანდარტი საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა რეგულირებადი პროგრამაა³⁵ და შესაბამისად, მისი აკრედიტაცია სავალდებულოა. სახელმწიფო განსაზღვრავს სამართლის პროგრამებისთვის სავალდებულო მინიმალურ სტანდარტებს, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სახით³⁶. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დამტკიცდა ახალი დარგობრივი მახასიათებელი³⁷, რომელიც სამართლის ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის სავალდებულოა. ახალი სამართლის დარგობრივი მახასიათებელი 2011 წელს დამტკიცებულ წინამორბედთან შედარებით³⁸ უფრო დეტალურად განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა სამართლის საკითხებს, სამართლის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელ მინიმალურ სწავლის შედეგებს შორის და მეტ აქცენტს აკეთებს განათლების პრაქტიკულ კომპონენტებზე.

„სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით;“

3.1.3 პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, სამართლის დარგობრივი მახასიათებელი

„სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი აღწერს: ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს[...] საკონსტიტუციო [...] სამართალწარმოების თავისებურებებს;“

3.1.1. ცოდნა და გაცნობიერება, სამართლის დარგობრივი მახასიათებელი

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამართლის საბაკალავრო პროგრამების ერთ-ერთი მიზანი ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლება და სტუდენტების შესაბამისი უნარებით აღჭურვაა, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას დაიცვან ადამიანის უფლებები პროფესიულ საქმიანობაში.

³⁵ იხ. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 75.

³⁶ იხ. სამართლის დარგობრივი მახასიათებელი < <https://bit.ly/39nmi8Y> >

³⁷ იხ. < <https://bit.ly/3EzaMFk> >

³⁸ იხ. < <https://eqe.ge/res/docs/მველი.pdf> >

ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება უმაღლეს დაწესებულებებში - თვისებრივი კვლევის შედეგები

წინამდებარე თავში განხილულია საქართველოში მოქმედი 9 უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების კურიკულუმები და სასწავლო კურსები. სამართლის საბაკალავრო პროგრამებისა და კურსების ანალიზი ეფუძნება შესაბამისი უნივერსიტეტების მიერ გაზიარებულ დოკუმენტებს, რომლებიც გამოიყენებოდა და მოქმედებდა 2020 წლის სასწავლო სემესტრების განმავლობაში. ჩვენი შესწავლის საგანია ადამიანის უფლებათა სავალდებულო საგნები, რადგან ეს საგნები ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა და შესაბამისად, ისინი ადამიანის უფლებების შესახებ ძირითად განათლებას ამ კურსების საფუძველზე იღებენ.

ამ თავში ასევე განხილულია შესაბამისი უნივერსიტეტების სამართლის სკოლების დეკანებთან/პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადამიანის უფლებების კურსების შესაბამისი ლექტორებთან, ასევე პროგრამის სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დისკუსიების საფუძველზე ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგები.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილი უნივერსიტეტების სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურიკულუმების სრული უმრავლესობა, სავალდებულო სახით, ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ მხოლოდ ერთ სავალდებულო კურსს ითვალისწინებს.

კურსს სხვადასხვა პროგრამაში ზოგ შემთხვევაში „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ ან „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ჰქვია. შესწავლილი უნივერსიტეტების სამართლის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო კურსი მიზნად საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სწავლას ისახავს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი 9 უნივერსიტეტიდან, ადამიანის უფლებათა შესახებ სავალდებულო სწავლება მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაში მოიცავს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული გამოცდილების ე.წ. რეალური გამოცდილების შექმნაზე ორიენტირებულ კურსებს და პროფესიური უნარების განვითარების კომპონენტებს.

ქვემოთ მოცემულია უნივერსიტეტების ჩამონათვალი, სადაც სტუდენტები ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ განათლებას მხოლოდ ერთი სავალდებულო კურსის საფუძველზე იღებენ.

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ძირითადი კურსი
საქართველოს უნივერსიტეტი	ძირითადი კურსი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	ძირითადი კურსი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ძირითადი კურსი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ძირითადი კურსი

აღსანიშნავია, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურიკულუმები ასევე ითვალისწინებს სავალდებულო კურსებს სახელწოდებით „შესავალი სამართალმცოდნეობაში“, სადაც სტუდენტები არ სწავლობენ ადამიანის უფლებათა სამართალს. ეს კურსები ძირითადად, გერმანული დოქტრინის მსგავსად, მხოლოდ სამართლის ისეთ თეორიულ საკითხებს განიხილავს, როგორებიც არის სამართლის წყაროები, სამართლისა და სამართლიანობის ცნებები და სამართლის ფილოსოფიასა და მეთოდებთან დაკავშირებული სხვა საკითხები. კურსებში უპირატესად განიხილება თეორიული საკითხები, რომლებსაც ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ განათლებასთან უშუალო კავშირი არ აქვს.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ კურსებში ისწავლება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. აღსანიშნავია, რომ კურსის ლიტერატურა, ხშირ შემთხვევაში, ასევე მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ინსტიტუტების შესახებ კანონმდებლობას და ასევე, ცალკეული უფლებების დაცვის მიზნით შექმნილ სპეციალურ კანონმდებლობასაც. დავალებები უმეტესად კაზუსის ამოხსნას და ზეპირ გამოკითხვას გულისხმობს, ასევე როგორც წესი, კურსები ეფუძნება ქართულენოვან სახელმძღვანელოებს და პირდაპირი სახით თითქმის არ გვხვდება შესაბამისი უფლებების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სწავლება, ისევე როგორც სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზთან დაკავშირებული საშინაო დავალებები.

თვისებრივი კვლევის მონაწილე, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტების ლექტორების ნაწილი აღნიშნავს, რომ არასაკმარისი დროის გამო ვერ ახერხებენ სწავლების ყველა იმ ტექნიკის გამოყენებას, რაც თავად სურთ. ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის წარმომადგენელი ლექტორი ამბობს, რომ აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება დიდი ზომის ჯგუფებში რთულია. ზოგადად, ლექტორები თანხმდებიან, რომ სწავლებისას კომბინირებული მეთოდები უნდა იყოს გამოყენებული, რათა სტუდენტებმა შეძლონ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. ამას გარდა, რეგიონებში შესაბამისი კურსების ლექტორები აღნიშნავენ, რომ სწავლისას მათი სტუდენტები ცდილობენ ტექსტის დამახსოვრებას ლიტერატურის ანალიზის ნაცვლად, რაც მნიშვნელოვნად ართულებს კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შესწავლილი

უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამების უმრავლესობა სავალდებულო სახით არ იცნობს ე.წ. რეალური გამოცდილების შექმნაზე ორიენტირებულ კურსებს, როგორც არის ადამიანის უფლებათა შესახებ კლინიკები, ადამიანის უფლებების შესახებ სპეციალური სტაჟირების პროგრამები, პოლიტიკის ლაბორატორიები, თუ სპეციალიზებული კვლევითი პროგრამები.

კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლების უმრავლესობა ამბობს, რომ მათ უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ადამიანის უფლებების კლინიკა არ არსებობს. კვლევაში მონაწილე ორი ლექტორი უთითებს, რომ მათ უნივერსიტეტებში კლინიკები მხოლოდ მაგისტრატურის დონეზე არსებობს.

ღია უნივერსიტეტის დეკანი, აღნიშნავს, რომ მათ უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხურზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილების, ან დასაქმების უზრუნველყოფა ვერ ხდება და აქაც, სხვა უნივერსიტეტების მსგავსად, აქტიური პრაქტიკის კომპონენტს მაგისტრატურის საფეხური ითვალისწინებს. დეკანის აზრით, არამართ მათ, არამედ სხვა უნივერსიტეტებშიც სამართლის საბაკალავრო პროგრამა რეალურად ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების გადაცემას და ეს კომპონენტი უფრო მეტად ფორმალური ხასიათისაა. ამის მიზეზი, მისი აზრით, იმ დამსაქმებელი ორგანიზაციების სიმწირეა, რომლებიც სტაჟირების შესაძლებლობას შესთავაზებდა სტუდენტებს, შესაბამისად არ არის შესაძლებელი, რომ ყოველ წელს, ყველა სემესტრში, თითოეულმა ინსტიტუციამ სხვადასხვა უნივერსიტეტიდან სრული რაოდენობით მიიღოს სამართლის სტუდენტები სტაჟირებაზე.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების სამართლის პროგრამების დეკანები და ლექტორები აღნიშნავენ, რომ სილაბუსის შემუშავებისას ხდება დასაქმების ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების შესწავლა. თუმცა, მათი და დამსაქმებლების შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. დამსაქმებლების შეფასებები ანგარიშში ცალკე, უფრო დეტალურად განიხილება.

სავალდებულო კურსში, როგორც წესი, არ არის გამოყენებული შედარებითი ანალიზის მეთოდი და მათში იშვიათად არის ინტეგრირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს, თუ სხვა განვითარებული იურისდიქციების საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების მნიშვნელოვანი პრეცედენტები ადამიანის უფლებების შესახებ, ასევე სავალდებულო კომპონენტის სახით არ ისწავლება ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა სამართალი.

იშვიათი გამონაკლისია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კურსი, სადაც სტუდენტები აანალიზებენ სხვადასხვა

იურისდიქციის მნიშვნელოვან პრეცედენტებს, ხოლო კურსის მასალები უშუალოდ სასამართლოს გადაწყვეტილებებს მოიცავს. შედარებითი სამართლებრივი ანალიზის ელემენტები ასევე გვხვდება თბილისის ღია უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კურსში, სადაც სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, თუმცა მეორადი წყაროების საფუძველზე და მათ გადაწყვეტილებების კითხვა და ანალიზი არ უწევთ. ამ კურსში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესახებ ლიტერატურაზე მეტად, სტუდენტები ადამიანის უფლებებს ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელოების საფუძველზე შეისწავლიან, სადაც ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში განსაზღვრული ადამიანის უფლებების სტანდარტებია განხილული.

სავალდებულო კურსების უმრავლესობა საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების შესწავლას ისახავს მიზნად. თუმცა, კურსებში სტუდენტებს იშვიათად უწევთ თანმიმდევრულად თითო უფლების შინაარსის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე შესწავლა. იშვიათი გამონაკლისია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კურსი, სადაც სტუდენტები თითო უფლების შინაარსს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ფონზე შეისწავლიან, ასევე საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებების კურსი. სხვა შემთხვევებში ადამიანის უფლებათა სამართლის კურსებში სტუდენტებს სასამართლოს გადაწყვეტილებებთან უშუალოდ მუშაობა, მათი კითხვა და ანალიზი, მათში მნიშვნელოვანი სტანდარტების გაცნობა სტუდენტებს არ უწევთ.

კარგ შემთხვევაში, კურსებში დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოყენებულია სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია 2012 წლის ჩათვლით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მოკლე აღწერები. თუმცა, სახელმძღვანელო არ მოიცავს ყველა უფლებაზე იმ დროს არსებულ გადაწყვეტილებებს და მეორე მხრივ, 2012 წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში არაერთი ძირითადი უფლების მნიშვნელოვანი განმარტებაა მოცემული, რასაც სახელმძღვანელო საერთოდ არ ასახავს.

თვისებრივი კვლევის მონაწილე ლექტორების ნაწილი ამბობს, რომ სილაბუსების განახლება ყოველი სემესტრის, ან ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ ხდება. ლექტორები აღნიშნავენ, რომ სასწავლო სემესტრის და/ან წლის განმავლობაში ისინი ძირითადად სილაბუსში გაწერილ გეგმას მიჰყვებიან, რაც ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობასაც ასახავს, თუმცა თუ საჭიროება მოითხოვს, შესაძლოა, სილაბუსით გაწერილი გეგმიდან გადახვევა და მიმდინარე სემესტრში სიახლის შემოტანა, განსაკუთრებით, მაშინ როცა საქმე სალექციო კურსზე ახალი ლიტერატურის დამატებას ეხება.

„ისიც არ არის გამორიცხული, რომ როცა სემესტრი დაიწყება, ვთქვათ, სემესტრის მიმდინარეობის დროს რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდეს. ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ახლა ამის ასახვა სილაბუსში ტექნიკურად რთულია, მაგრამ თვითონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ ხოლმე ამ ყველაფერს.“

ლექტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ლექტორების ნაწილი ქართულენოვანი ლიტერატურის დეფიციტზე საუბრობს. მათი განმარტებით, ადამიანის უფლებებში არსებული ლიტერატურა არ არის მრავალფეროვანი და მოძველებულია.

ლიტერატურის სიმწირე ნათლად ჩანს სავალდებულო კურსებში, სადაც როგორც წესი, მეორდება კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. ყველაზე ხშირად ძირითადი ლიტერატურის სახით შემდეგი სახელმძღვანელოები გვხვდება:

ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების შესახებ კურსებში ძირითადი ლიტერატურა
კონსტანტინე კუბლაშვილი, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები,“ იურიდიული სახელმძღვანელო, თბილისი, 2019 წელი
კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, ლევან იზორია; „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“; თბილისი, 2005 წელი
“ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა 1996-2012 წლებში“, ავტორები: თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; თბილისი
საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი/ზურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტყარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს./თბილისი 2013.

ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ჰქვია, მაგრამ კურსში სტუდენტები საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცულ ადამიანის უფლებებს საერთოდ არ შეისწავლიან და კურსის სილაბუსში ძირითადად მითითებულია საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის შესახებ სახელმძღვანელოები. ამავე უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ კადრების სიმწირის გამო ვერ ხერხდება სტუდენტებისთვის სიღრმისეული ცოდნის გადაცემა, ხოლო საგნის ლექტორი აღნიშნავს, რომ

რესურსების სიმწირის გამო მას უწევს საგნის წაკითხვა, იმის მიუხედავად, რომ ადამიანის უფლებათა სამართალში არ არის სპეციალიზებული.

განსაკუთრებით მწვავეა კადრების სიმწირე რეგიონულ უნივერსიტეტებში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების კურსის ლექტორიც აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებების მიმართულებით სპეციალიზებული არ არის, თუმცა კადრების ნაკლებობის გამო უწევს აღნიშნული მიმართულებით ლექციების წაკითხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი განსაკუთრებით უსვამს ხაზს კადრების სიმწირის პრობლემას და აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლექტორმა შესაძლოა არადაამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღოს სტუდენტისგან, მათ ძალიან უჭირთ ლექტორის შეცვლა. ის ასევე მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა რეგიონის ყველა უნივერსიტეტისთვის საერთოა.

„რეგიონში სხვა გამოწვევები და პრობლემებია, ვიდრე თბილისის უნივერსიტეტებში და სამართლის სკოლებში. მაგალითად, ერთ-ერთი პრობლემა არის ის რომ, სათანადო აკადემიური რესურსი არ არის. მე მაგალითად, ვარ კონსტიტუციური სამართლის პროფესორი, მაგრამ ვასწავლი ადამიანის უფლებებს... შეუძლებელია, რომ ყველა საგანში ვიყო სპეციალისტი და ვასწავლიდე მას სათანადოდ, ამისთვის სათანადო არც დრო და არც რესურსი არ არსებობს.“

ლექტორი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლების უმრავლესობა ამბობს, რომ ადამიანის უფლებათა კურსების ლექტორებს სწავლის მეთოდებზე გამართულ ტრენინგებში მონაწილეობას სთავაზობს. ზოგიერთი უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს USAID/PROLOG-თან და მისი მხარდაჭერით ახორციელებს ლექტორების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის დეკანი აღნიშნავს, რომ USAID/PROLOG-ის დახმარებით საზღვარგარეთიდან მათ მოიწვიეს ექსპერტი, რომელიც ადამიანის უფლებათა მიმართულებით კლინიკის აწყობაში დაეხმარა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი კი აღნიშნავს, რომ USAID/PROLOG-ის დახმარებით მუშაობენ პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელი კურსების გაუმჯობესების მიმართულებით, იურიდიული პრაქტიკის კურსის დახვეწის მიზნით.

პროფესიული უნარების კუთხით აღსანიშნავია, რომ სამართლის პროგრამების უმრავლესობაში სპეციალურად ადამიანის უფლებების შესახებ სამართლებრივი წერისა და კაზუსების ამოხსნის მეთოდების კურსები იშვიათია. იმ შემთხვევაში თუ პროგრამა ასეთ კურსს ითვალისწინებს, მას არჩევითი ხასიათი აქვს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამებში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამის გარდა, ასევე არ გვხვდება კურსები, სადაც სტუდენტი ადამიანის უფლებების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის კვლევის და ანალიზის საფუძველზე კონკრეტულ რეალურ საქმეებზე მუშაობის, ან იმიტირებული სასამართლო პროცესის საფუძველზე მსგავს გამოცდილებას შეიძენს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის საერთაშორისო სამართლის არჩევით ბლოკში გვხვდება საერთაშორისო სამართალში იმიტირებული პროცესები, თუმცა ეს სავალდებულო კომპონენტი არ არის. ასევე, საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების კურსში გვხვდება იმიტირებული პროცესები, რაც კურსის ერთ-ერთი მცირე კომპონენტია.

შემდგომში შედარებით უფრო ვრცლადაა განხილული სამართლის საბაკალავრო პროგრამები, სადაც სტუდენტები ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ განათლებას არ იღებენ მხოლოდ ერთი სავალდებულო კურსის საფუძველზე.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლება ძირითადად სავალდებულო საგნების სახით წარიმართება. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამაში ადამიანის ძირითადი უფლებების სამართალი ისწავლება, როგორც საბაზისო და ძირითადი საგნების, ისე პრაქტიკული საგნების საფუძველზე.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებების სავალდებულო კურსები	
სამართლის საფუძვლების კურსი	საბაზისო კურსი
შესავალი ადამიანის უფლებათა სამართალში	ძირითადი კურსი
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	ძირითადი კურსი
საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა I	პრაქტიკული კურსი
საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა II	პრაქტიკული კურსი

ა) საბაზისო განათლება

სამართლის საფუძვლების საბაზისო კურსის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ, როგორც უფლებების ზოგად ცნებებს და მათი შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემოწმების საფუძვლებს, ისე საქართველოს კონსტიტუციით დაცული ცალკეული უფლებების შინაარსს. აღსანიშნავია, რომ საბაზისო კურსში ინტეგრირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან რამდენიმე გადაწყვეტილება და პირველივე კურსიდან სტუდენტები უშუალოდ ეცნობიან სასამართლო პრაქტიკას, მათ შორის სახალხო დამცველის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ სარჩელებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ბ) ძირითადი განათლება

ძირითადი განათლება ორი კურსისგან შედგება, მათგან ერთი, შესავალი ადამიანის უფლებათა სამართალში, მიზნად ადამიანის უფლებების შესახებ თეორიული და დოქტრინალური საფუძვლების სწავლებას, მეორე კი საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის ძირითადი უფლებების შინაარსის და მათთან დაკავშირებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სიღრმისეულ სწავლებას გულისხმობს.

ასეთი სტრუქტურა სტუდენტს, ერთი მხრივ, უქმნის მტკიცე თეორიულ და დოქტრინალურ საფუძველს ადამიანის უფლებების სამართლის შესახებ, მეორე მხრივ კი აღჭურავს მას კონკრეტული ცოდნით იმის შესახებ, თუ როგორ განმარტავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ცალკეული უფლებების შინაარსს.

საბაზისო კურსებში აღნიშვნას იმსახურებს სწავლების მეთოდი. კერძოდ, შესავალ კურსში ხდება დოქტრინალური სწავლება შედარებით პერსპექტივაში. თვალშისაცემია, რომ კურსში ინტეგრირებულია, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცალკეულ უფლებებთან მიმართებით, ისე აშშ-ის უზენაესი სასამართლოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა ცალკეული უფლებების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სწავლების ნაწილში ინტეგრირებულია ასევე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები. კურსის ლიტერატურა შედარებით სამართლებრივია და მოიცავს ძირითად თანამედროვე ლიტერატურას, როგორც ანგლო-საქსური სამართლის ტრადიციის ქვეყნებიდან, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მიდგომების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურა არ არის ექსკლუზიურად მხოლოდ ქართულენოვანი.

სტუდენტები საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებების შინაარსსა და სასამართლო პრაქტიკას სიღრმისეულად შეისწავლიან ძირითად კურსში - „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. კურსში ინტეგრირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული და შესაბამის უფლებასთან დაკავშირებული

ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ასევე რელევანტური გადაწყვეტილებები, როგორც აშშ-ის უზენაესი სასამართლოს, ისე გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან. კურსში ასევე ინტეგრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ნაწილი, რომელიც აწესრიგებს ადამიანის უფლებების შინაარსს, როგორც არის მაგალითად, კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ და სხვა.

საბაზისო და ძირითადი განათლების საგნების კურსები ისეა დაგეგმილი, რომ სტუდენტები ადამიანის უფლებების თეორიული საკითხებისა და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის შესახებ იღებენ სისტემურ და ამომწურავ თეორიულ ცოდნას. მართალია კურსებში ინტეგრირებულია პრაქტიკული კომპონენტები, როგორც არის პრობლემების გადაჭრა, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მოკლე აღწერების შედგენა და სხვა, სტუდენტებს ნაკლებად უწევთ უშუალოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სარჩელების, თუ სხვა სამართლებრივი დასკვნების, როგორც არის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, წერა. პრაქტიკული მუშაობა პრაქტიკული კურსების ფარგლებში ხდება.

გ) პრაქტიკული განათლება

ადამიანის უფლებათა სამართალში პრაქტიკული კურსების საფუძველზე სტუდენტები, ლექტორის მეთვალყურეობის ქვეშ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენად ამზადებენ სარჩელებს და ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო მეგობრის მოსაზრების მომზადებაში იღებენ მონაწილეობას. ამ გზით სტუდენტები, ერთი მხრივ, უშუალოდ აქტიურად ამზადებენ საპროცესო დოკუმენტებს და იძენენ სამართალწარმების გამოცდილებას, მეორე მხრივ კი სასამართლო მეგობრის მოსაზრებების შექმნის პროცესში ივითარებენ სამართალწარმოებისთვის აუცილებელ ანალიტიკურ უნარებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებების სავალდებულო კურსები	
შესავალი სამართალმცოდნეობაში	საბაზისო კურსი
შესავალი საჯარო სამართალში	ძირითადი კურსი
ადამიანის უფლებათა სამართალი	ძირითადი კურსი

კურსში - „შესავალი სამართალმცოდნეობაში“, ადამიანის უფლებებს მცირე ადგილი უჭირავს და უფლებები ისწავლება სამართლის ზოგად კონტექსტში, როგორც სამართლის წყარო.

შესავალი საჯარო სამართალში უფრო მეტად კონცენტრირებულია საჯარო მმართველობის საფუძვლების სწავლებაზე და ადამიანის უფლებები მხოლოდ საჯარო მმართველობის კონტექსტში ისწავლება, კერძოდ ხელისუფლების შეზღუდვისას უმცირესობების უფლებების კონტექსტში და ის ერთ-ერთ სასწავლო კვირაში, ერთ-ერთი ქვესაკითხია. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა შესახებ განათლებას სტუდენტები რეალურად ადამიანის უფლებათა სამართლის კურსის საფუძველზე იძენენ.

ადამიანის უფლებათა სამართლის კურსი მოიცავს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დაცული უფლებების შინაარსის სწავლებას. კურსის ლიტერატურაში მითითებულია ასევე პრაქტიკული სახელმძღვანელოები, სადაც შესაძლებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გაცნობა. თუმცა, მითითებული პრაქტიკული სახელმძღვანელო არ არის ამომწურავი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს 2012 წლის ჩათვლით მოიცავს. აღსანიშნავია, რომ კურსში სასამართლოს გადაწყვეტილებები უშუალოდ არ არის მითითებული და ასევე თითქმის არ გვხვდება დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, მაგალითად, დავალება სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე აღწერების შედგენაზე, რაც ერთდროულად ხელს შეუწყობდა, როგორც გადაწყვეტილებების ანალიზის უნარების, ისე წერიტი უნარების განვითარებას.

ასევე, სავალდებულო საგნებს შორის არ გვხვდება პრაქტიკული კურსები, სადაც ყველა სტუდენტი ადამიანის უფლებების თეორიულ ცოდნას პრაქტიკულად იყენებს და ადამიანის უფლებების შესახებ სასამართლოში წარსადგენ სარჩელებზე, ან სხვა ფორმით ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენებს, ან პროფესიული უნარების გამომუშავებას ისახავს მიზნად, რაც სტუდენტს ხელს შეუწყობს გამოიყენოს ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნა რეალური პრობლემების გადაჭრისათვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ასევე შეუძლიათ საკონსტიტუციო სამართლის მიმართულების არჩევა. წარმოდგენილი ანგარიშის ჩარჩოს სცდება არჩევითი საგნების საფუძველზე ადამიანის უფლებების შესახებ განათლების შესწავლა და შესაბამისად ანგარიში არ მოიცავს არჩევითი საგნების ბლოკის შინაარსის შეფასებას.

თბილისის ღია უნივერსიტეტი

თბილისის ღია უნივერსიტეტის კურიკულუმი ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ სავალდებულო კურსსა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების კურსს ითვალისწინებს.

თბილისის ღია უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებების სავალდებულო კურსები

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	ძირითადი კურსი
საკონსტიტუციო სამართალწარმოება	ძირითადი კურსი

„ადამიანის ძირითადი უფლებების“ კურსის საფუძველზე სტუდენტები სწავლობენ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დაცულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს შედარებით პერსპექტივაში. აღსანიშნავია, რომ კურსში მითითებული ლიტერატურის საფუძველზე ადამიანის უფლებათა სწავლება ხდება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან კავშირში, შედარებითი მეთოდით. კურსით გათვალისწინებული დავალებები უმეტესად კაზუსის ამოხსნასა და ზეპირ გამოკითხვას გულისხმობს, ასევე კურსი ძირითადად ევროპის საბჭოს მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებსა და წყაროებს ეფუძნება და მასში პირდაპირი სახით შესაბამისი უფლებების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ გვხვდება. კურსი ასევე არ ითვალისწინებს სტუდენტების მიერ უშუალოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზთან დაკავშირებულ საშინაო დავალებებს და იმიტირებული სასამართლო პროცესის გამართვას.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ღია უნივერსიტეტის სტუდენტები სავალდებულო საგნის სახით შეისწავლიან საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შესახებ სპეციალურ კურსს. კურსი მოიცავს კონსტიტუციურ სამართალწარმოების მარეგულირებელი აქტებისა და ადამიანის უფლებებში ჩარევის შემოწმების მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულ მიდგომებს/ტესტებს. კურსში სტუდენტები ეცნობიან სასამართლოს განჩინებებს და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და შეისწავლიან ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკულ ასპექტებს. კურსის სწავლებისა და შეფასების მეთოდები სხვა მეთოდებთან ერთად მოიცავს კაზუსების ამოხსნას და იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, სადაც სტუდენტი ვალდებულია შეადგინოს საკონსტიტუციო სამართლებრივი სარჩელი და წარმოადგინოს მოპასუხის პოზიცია.

სავალდებულო კურსების გარდა, თბილისის ღია უნივერსიტეტის სტუდენტებს ადამიანის ძირითადი უფლებების შესწავლა ასევე შეუძლიათ „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის“ არჩევითი კურსის საფუძველზე, რომელსაც ანგარიშის ჩარჩოდან გამომდინარე არ განვიხილავთ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი „ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების“ და „კონსტიტუციური მართლმსაჯულების“ სავალდებულო კურსებს ითვალისწინებს.

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანის ძირითადი უფლებების
სავალდებულო კურსები**

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	ძირითადი კურსი
კონსტიტუციური მართლმსაჯულება ³⁹	ძირითადი კურსი

„ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების კურსში“ არ ისწავლება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დაცული ადამიანის უფლებები და მასში ცალკეული უფლებების შინაარსის ნაცვლად, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და მექანიზმებზეა გამახვილებული ყურადღება. კურსის თემების შესაბამისადაც, კურსში სწავლება ეფუძნება ქართულენოვან ლიტერატურას საერთაშორისო სამართლის და ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესახებ. კურსში არ გვხვდება პირდაპირი სახით შესაბამისი უფლებების შესახებ არც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. კურსი ასევე არ მოიცავს სტუდენტების მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზთან დაკავშირებულ საშინაო დავალებებს და არ ითვალისწინებს იმიტირებული სასამართლო პროცესის გამართვას. აღსანიშნავია, რომ კურსში ერთი კვირა ეთმობა საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის შესწავლას.

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილი უნივერსიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში ადამიანის ძირითადი უფლებების სწავლება ხდება ერთი ძირითადი კურსის საფუძველზე. ამასთან, შესწავლილი კურსების დიდი ნაწილი ერთმანეთის მსგავსია, როგორც საკითხების, ისე ლიტერატურის და სწავლების მეთოდების კუთხით.

პროგრამების უმეტესობისთვის, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ: თავისუფალი უნივერსიტეტი), დამახასიათებელია პრაქტიკული და გამოცდილების საფუძველზე უნარების განვითარებისკენ მიმართული საგანმანათლებლო კომპონენტების სიმწირე.

ასევე, პროგრამების უმრავლესობა სტუდენტებს არ სთავაზობს განათლების კომპონენტებს, სადაც ისინი ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული აქტუალური პრობლემების, გამოწვევებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საჭიროებების შესახებ ცოდნას შეიძენენ. ამას გარდა, პროგრამების უმეტესობა არ ითვალისწინებს შედარებით

³⁹ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ კვლევისთვის ვერ შეძლო კონსტიტუციური მართლმსაჯულების კურსის სილაბუსი გაზიარება და შესაბამისად კურსის შინაარსის შესახებ მსჯელობა არ არის მოცემული.

სამართლებრივ ჭრილში ადამიანის უფლებების ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო განზომილებებში სწავლებას.

ლიტერატურის უმრავლესობა თეორიულია, სასწავლო მასალების ნაწილი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას ეხება მოძველებულია და შესაბამისად, კურსების ძირითად ნაწილში, სტუდენტები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე არ შეისწავლიან საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული ადამიანის ძირითადი უფლებების შინაარსს.

პროგრამების უმრავლესობა არ მოიცავს კომპონენტებს, სადაც სტუდენტები ადამიანის ძირითად უფლებებს საქართველოს მულტიდისციპლინურ კონტექსტში ანალიზებენ და, კრიტიკულად აფასებენ ადამიანის უფლებების მდგომარეობას ქვეყანაში არსებული კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ასევე, გამოცდილებაზე დაფუძნებული კურსების სიმწირის გამო, სამართლის პროგრამებში ნაკლებად ხდება ადამიანის ძირითადი უფლებების კუთხით საჭიროებების შესწავლა და სტუდენტები არ არიან ჩართული ადამიანის უფლებების პრობლემების და გამოწვევების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის რეალურ პროცესში, იქნება ეს რეალური შემთხვევების დამუშავების გზით ადამიანის უფლებების, ან საკონსტიტუციო სამართლის კლინიკების თუ სპეციალური სტაჟირების და ადამიანის უფლებათა ადვოკატირების სხვა კურსების საშუალებით. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის პროგრამაა.

ასევე, სამართლის პროგრამების უმრავლესობა ნაკლებად აკეთებს აქცენტს სავალდებულო კურსების საფუძველზე სტუდენტების პროფესიული უნარების განვითარებაზე, რაც მათ ადამიანის უფლებების ანალიზისთვის, კვლევისა და რეალური საქმეების დამუშავებისთვის სჭირდებათ.

საუკეთესო შემთხვევაში ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლების კურსები კაზუსების ამოხსნას ითვალისწინებს. თუმცა, კურსებში სტუდენტები იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ იძენენ ისეთ გამოცდილებას, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლას და შეფასებას, შედარებით სამართლებრივ კვლევას, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენასა და სასამართლოს გზით ადამიანების უფლებების დაცვას გულისხმობს, მით უმეტეს კურსების უმრავლესობა არ ითვალისწინებს რეგიონულ (ევროპულ), ან საერთაშორისო კონტექსტში ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ სამართალწარმოების გამოცდილების შეძენას.

ასევე, იშვიათია კომპონენტები, რომლებიც სტუდენტებს უშუალოდ დააკავშირებს საქართველოში არსებულ ადამიანის უფლებების დაცვის საჭიროებებთან. არ არსებობს სავალდებულო სპეციალიზაციის კლინიკები, სადაც სტუდენტები მაგალითად ბავშვის

უფლებებზე ან დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენაზე იმუშავებენ. ასეთი კურსები არჩევითი საგნების ფორმით არსებობს ილიას უნივერსიტეტში, ასევე თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში მოქმედებს კლიენტების კლინიკა საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით, სადაც სტუდენტები რეალური ადამიანების რეალურ საქმეებზე მუშაობენ, თუმცა ეს მაგალითები გამონაკლისია.

საინტერესოა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კურსებში ლიტერატურის და წყაროების ჩამონათვალში არ გვხვდება მითითება სახალხო დამცველის ან/და უფლებადაცვითი ორგანიზაციების ანგარიშებზე.

ასევე, ზოგადად ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების კურსების უმრავლესობაში საქართველოს კულტურული და პოლიტიკური კონტექსტი ნაკლებად არის კრიტიკული ანალიზის საგანი, რადგან კურსების უმრავლესობა საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკის სწავლებას, ან სახალხო დამცველის მიერ სპეციალური მექანიზმების საფუძველზე განხილული საქმეების და რეკომენდაციების, თუ ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიშების სწავლებას საერთოდ არ გულისხმობს.

სტუდენტების შეფასებები ადამიანის უფლებების სამართლის სწავლების შესახებ

ჩატარებული თვისებრივი კვლევის მონაწილე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, სპეციალიზაციების მიუხედავად, ადამიანის ძირითადი უფლებების ცოდნას, ყველა სტუდენტისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. სტუდენტები ამბობენ, რომ ადამიანის უფლებები სასკოლო განათლების სავალდებულო ნაწილი უნდა იყოს. სტუდენტების ნაწილის თანახმად, ადამიანის უფლებათა სამართლის ცოდნის საფუძველზე ისინი მოქალაქეებს ეხმარებიან საკუთარი უფლებების გაგებაში. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ იმ დროსაც, როცა ისინი ადამიანის უფლებების მიმართულებით არ არიან დასაქმებული, მათ საქმიანობაში მუდმივად აქვთ შეხება ადამიანის უფლებებთან. ერთ-ერთი სტუდენტი ამბობს, რომ ბიზნესის სამართლის მიმართულებით მუშაობს, მაგრამ სასამართლო დოკუმენტების მომზადებისას ხშირად უწევს ადამიანის უფლებათა სტანდარტებზე მითითება.

ა) ადამიანის უფლებების კურსიდან მიღებული ცოდნა და უნარები

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა კურსში ქვეყანაში არსებული რეალობის საფუძველზე და აქტუალობის მიხედვით სხვადასხვა უფლებებზე კეთდებოდა ქვეყანაში არსებული რეალობის საფუძველზე და აქტუალობის მიხედვით.

„მე, როდესაც ეს კურსი ვისწავლე, მაშინ ტარდებოდა არჩევნები და იმიტომ, რომ აქტუალური იყო ეს არჩევნები, მოხდა ისე, რომ სილაბუსი საერთოდ გადაეწყო ლექტორის მიერ, რომ

არჩევნების უფლება ყოფილიყო, ჯერ ჩვენს მიერ გავლილი, რომ აქტუალურ თემას არ ჩამოვრჩენოდით.“

სტუდენტი, მესამე კურსი, თავისუფალი უნივერსიტეტი

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები ხაზს უსვამენ, რომ ადამიანის უფლებათა კურსებში მათ თეორიულ სწავლებასთან ერთად, პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობაც ჰქონდათ. მათ მიაჩნიათ, რომ თეორიის და სასამართლო პრაქტიკის ერთობლივი სწავლებით მათ უადვილდებოდათ ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული გამოწვევების დანახვა და გადაჭრის გზების მოძიება.

„გვასწავლიან, თუ რა არის აი ამ უფლებების პრაქტიკული გადაწყვეტა. როგორია, მაგალითად საკონსტიტუციო სასამართლოში, ევროპულ სასამართლოში, ამერიკის უზენაეს სასამართლოში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, იმდენად გადაბმულად არის, ასე რომ ვთქვათ დაკავშირებული, რომ ერთი მხრივ, რაღაც უნარებს გვიითარებს, რომ მერე პრობლემებზე ძალიან მარტივად შეძლო შენი პოზიციის ჩამოყალიბება. მეორე მხრივ, როდესაც პრაქტიკაში გადიხარ, უკვე აღარ გიჭირს, ამ ყველაფრის, ასე რომ ვთქვათ უკვე თავიდან მოძიება, იმიტომ რომ რაღაც მნიშვნელოვანი, საბაზისო ცოდნა გაქვს, იმიტომ რომ პრაქტიკაში, ძალიან მარტივად და შედეგიანად იყენებ.“

სტუდენტი, მესამე კურსი, თავისუფალი უნივერსიტეტი

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები ასევე ხაზს უსვამენ შედარებითი სწავლების მეთოდს, რომლის საფუძველზეც შეისწავლეს ადამიანის უფლებათა სამართლის კურსი. სტუდენტების განმარტებით, შედარებითი ანალიზის მეთოდით უფლებების შესწავლა მათ ეხმარებათ სხვადასხვა პერსპექტივიდან საკითხის დანახვაში.

„ეფიქრობ, რომ კურსი მოიცავს, მთლიანად კონსტიტუციის ყველა უფლებას, თან მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეალურად შედარებითი ანალიზიც ხდება. სხვადასხვა სტანდარტები თუ არის, ყველა ვარიანტში, მაგალითად გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ამერიკის სტანდარტები, გამოჩენილი იყო სხვადასხვა გადაწყვეტილებებით და მნიშვნელოვანია ეს, იმიტომ რომ სხვადასხვა პერსპექტივიდან დაინახავ კონკრეტული საკითხის მოწესრიგება სხვადასხვანაირად როგორ შეიძლება.“

სტუდენტი, მეოთხე კურსი, თავისუფალი უნივერსიტეტი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ სასურველია შედარებითი ანალიზის მეთოდით ადამიანის უფლებების შესწავლა, და რომ საერთაშორისო სტანდარტებისა და ქართული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის შედარებით პერსპექტივაში განხილვას მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს.

„თუნდაც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, რადგან დღეს უკვე ჩვენ საკმაოდ ხშირად ვიყენებთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დღეს უკვე ჩანაჩერია, რომ უზენაეს

სასამართლოში, დასაშვებობის ერთ-ერთი კრიტერიუმი არის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად იქიდან გამომდინარე, რომ ამას უკვე ძალიან დიდი ყურადღება ექცევა, მე ვისურვებდი, რომ სიღრმისეულად გაკეთებულიყო ანალიზი საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით.“

სტუდენტი, მეოთხე კურსი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

იგივე მოსაზრებას იზიარებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის საქართველოს პრაქტიკასთან შედარებითი ანალიზი მათთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა. სტუდენტების ნაწილი ასევე მიუთითებს, რომ კონკრეტული საქმეების იმიტირებული პროცესების ფორმატში სიღრმისეული ანალიზი დამატებით ღირებული იქნებოდა.

ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა კურსში პრაქტიკული სწავლება ნაკლებად ხდება. სტუდენტები ასევე მიუთითებენ, რომ სასამართლო პრაქტიკის სწავლებასა და მის შედარებით ანალიზზე კურსში ყურადღება არ იყო გამახვილებული.

„მე ვისურვებდი თუნდაც როდესაც საუბარი იყო, მაგალითად, ყველაზე მნიშვნელოვან სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, ან სხვა ნებისმიერ უფლებაზე, საინტერესო იქნებოდა სახალხო დამცველის ანგარიშები.“

სტუდენტი, მეოთხე კურსი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გორის უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოებში ადამიანის უფლებების თეორიული შესწავლა ხდება და აქცენტი იმაზე კეთდება, თუ როგორი უნდა იყოს რეალობა და ნაკლებად იმაზე, თუ სინამდვილეში როგორია ის.

„დიახ, გავლილი მასალა ძალიან არის დაკავშირებული რეალობასთან, თუმცა მოგეხსენებათ სახელმძღვანელოებში წერია ის, რაც უნდა იყოს და არა ის, რაც არის რეალობაში, ანუ იდეალური სამყარო გვაქვს გადმოცემული, ანუ როგორი უნდა იყოს ადამიანის ძირითადი უფლებები, როგორ უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების წევრები, თუმცა რეალურად ვიცით, რომ არ გვაქვს იდეალური სახელმწიფო, სახელმწიფო სადაც დღესდღეობითაც ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და მაქსიმალურად უკავშირდება, თუმცა სახელმძღვანელოში გადმოცემული აზრი და დღევანდელი რეალობაში მიმდინარე პროცესები ერთმანეთისგან განსხვავდება.“

სტუდენტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგადად, სტუდენტების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ადამიანის უფლებათა კურსებში შეძლებისდაგვარად ყურადღება იყო გამახვილებული საქართველოს რეალობაში არსებულ

პრობლემებზე. ამასთან, მათი ნაწილი უთითებს, რომ კურსში არ ხდება სასამართლო პრაქტიკისა თუ სახალხო დამცველის ანგარიშების უშუალოდ შესწავლა.

ბ) ადამიანის უფლებათა კურსებში შეძენილი პრაქტიკული უნარები

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ერთობლიობაში ადამიანის უფლებების სამართლის კურსებში მათ არაერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული და პროფესიული უნარი შეიძინეს. სტუდენტები განსაკუთრებით გამოყოფენ სწავლის მეთოდს, რომლის დროსაც მათ განივითარეს სასამართლოს გადაწყვეტილებების კითხვისა და ანალიზის უნარები, რაც საბოლოოდ მათ შესაძლებლობას აძლევს ადამიანის უფლებების სამართალთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების გადაჭრისას გამოიყენონ, როგორც თეორიები, ისე მოიძიონ სამართლის შესაბამისი წყაროები და გამოიყენონ სასამართლო პრაქტიკა სასამართლოში სხვების უფლებების დაცვისთვის.

„ძალიან ბევრი პრაქტიკის და კვლევის შედეგად, გამომიმუშავდა ძალიან კარგი უნარი, რომ სწრაფად და რელევანტურად მოვიძიო ის წყაროები, რომლებიც კონკრეტული პრობლემის გარკვევაში დამეხმარება, მაგალითად ის პრობლემა, როგორ არის გადაწყვეტილი სხვადასხვა ქვეყნებში ანუ კვლევის ჩატარების უნარს დავარქმევდი, ასე ვთქვათ პირველი მნიშვნელოვანი არის ეს, მეორე ეს კურსი მთლიანად, რომ წარმოვიდგინოთ, მათ შორის თავის კლინიკებით, მომცა ის უნარი, რომ შემიძლია დამოუკიდებლად მოვამზადო კონსტიტუციური სარჩელი და ან ჩემი ან სხვების უფლებები დავიცვა.“
სტუდენტი, მესამე კურსი, თავისუფალი უნივერსიტეტი

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ მათ სასამართლო პრაქტიკის კითხვისა და ანალიზის შედეგად გამოუმუშავდათ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები.

„მე ვფიქრობ, რომ თუნდაც აი ამ საქმეების ასე ვთქვათ შემოკლება და პრეზენტაციებით ძალიან ბევრი უნარ-ჩვევა ჩამოგვიყალიბდა“
სტუდენტი, მესამე კურსი, საქართველოს უნივერსიტეტი

სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების კურსის შედეგად მსჯელობისა და დისკუსიის უნარები განუვითარდათ. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტები დამატებით აღნიშნავენ, რომ მათ ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი ცოდნა კაზუსების ამოხსნასა და იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრებებში გამოეყენებინათ.

დამატებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გამოყოფენ, რომ მათ შეიძინეს კონსტიტუციური სარჩელის მომზადების უნარები.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათ პრაქტიკული სწავლების გამოცდილება საერთოდ არ აქვთ და ამ მხრივ, ყველა სტუდენტი დიდ დანაკლისს განიცდის. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათთან თითქმის არ ჩატარებულა სასამართლოს იმიტირებული პროცესები, არ ევალებოდათ კონკრეტული შემთხვევების ანალიზი, არ აქვთ სარჩელის წერის გამოცდილება და ფიქრობენ, რომ სტუდენტებს აუცილებლად უნდა მიეცეთ საშუალება, რომ ადამიანის უფლებების კურსის ფარგლებში ამ ყველაფრის გამოცდილება მიიღონ. დამატებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ კურსებში წერიითი უნარების გამომუშავების შესაძლებლობა ნაკლებად ჰქონდათ.

„ყველაზე კარგი რაც შეიძლება გაეკეთებინა ლექტორს, მაგალითად, ერთ-ერთი კონსტიტუციური სარჩელის ფორმა რომ აგველო და ჯგუფებად, ან ინდივიდუალურად რომ ერთი უფლების შესახებ რაღაც სარჩელი ან წარდგინება ან ინიციატივა ან რაღაც ასეთი დაგვეწერა, გვემსჯელა რაღაც საკითხებზე. იქ საერთაშორისო პრაქტიკა მოგვეძიებინა. შეიძლებოდა შემდგომ შეგვეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში ეს განცხადება და შემდგომ პროცესში როგორ ჩავერთვებოდით თავიდან ბოლომდე, ძალიან საინტერესო იქნებოდა ჩემთვის.“

სტუდენტი, მეოთხე კურსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ამ საგანში ყოველთვის შეხვედრები გვექონდა ლექცია-სემინარის სტილით, ანუ ლექციაზე ლექტორი მოგვიყვებოდა ადამიანის უფლებების შესახებ კონკრეტულ მუხლებს და სემინარებზე მონაყოლს ჩვენ უკან ვაბარებდით რაც მოგვიყვა და არანაირი პრაქტიკა, არანაირი სარჩელების განხილვა და სარჩელების მომზადება.“

სტუდენტი, მეოთხე კურსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გ) ადამიანის უფლებების შესახებ პრაქტიკული გამოცდილება

პრაქტიკული გამოცდილების მაგალითებად სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები ასახელებენ ისეთ აქტივობებს, როგორც არის სასამართლოს იმიტირებული პროცესები, ასევე ადამიანის უფლებათა აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციებში მონაწილეობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი მეტად უნდა ზრუნავდეს სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობებზე. მათ აღნიშნეს, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ უშუალოდ არ არის შემოთავაზებული სასამართლოს იმიტირებული პროცესები, თუ სხვა პრაქტიკული აქტივობები და ასეთ აქტივობებს ძირითადად სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები უწევენ ორგანიზებას.

ასევე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან შედარებით მათ პრაქტიკული გამოცდილების

შეძენის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართულებით. მათი თქმით, კურსში პრაქტიკული კომპონენტები არ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად, ვერ შეძლეს პრაქტიკული უნარების განვითარება. ამავე დროს მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია მათ კურსის საფუძველზე საკონსტიტუციო სარჩელების წერა და სხვა პროფესიული უნარები გამოიმუშაონ.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილების შეძენა შეეძლოთ სასამართლოს იმიტირებულ პროცესებზე და ასევე, საკონსტიტუციო სამართლის კლინიკებში, სადაც ისინი კლიენტებთან უშუალოდ მუშაობენ, ეხმარებიან მათ საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენი სარჩელის მომზადებაში და ასევე, მონაწილეობენ სასამართლოში მიმდინარე საქმეზე სასამართლო მეგობრის მოსაზრების მომზადებაში.

რაც შეეხება საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს, ისინი აღნიშნავენ, რომ მათ უნივერსიტეტი სთავაზობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ვიზიტს, სადაც ისინი უშუალოდ ესწრებიან სასამართლო პროცესებს და მსჯელობენ კონკრეტული საქმეების შესახებ.

თბილისის ღია უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტები აცხადებენ, რომ მათ პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისთვის საჯარო ლექციებსა და კონფერენციებში მონაწილეობას სთავაზობენ. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტები ასევე აცხადებენ, რომ ადამიანის უფლებების მიმართულებით უშუალოდ პრაქტიკული გამოცდილების შეძენა მათ მეოთხე კურსზე შეუძლიათ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ პრაქტიკული გამოცდილების მიღება შეუძლიათ, როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკის, ისე სასამართლოს იმიტირებული პროცესების საშუალებით. დამატებით, უნივერსიტეტში არსებობს ადამიანის უფლებათა კინო კლუბი სადაც რეგულარულად ხდება ადამიანის უფლებების შესახებ ფილმების ჩვენება და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად მათ შესახებ მსჯელობა. სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში არსებობს კონსტიტუციური კვლევების ცენტრი და მართლმსაჯულების გაძლიერების ცენტრი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ, როგორც ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების შესახებ პრაქტიკული გამოცდილების შეძენა, ისე ადამიანის უფლებების შესახებ კონსტიტუციურ სარჩელებზე მუშაობა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ პრაქტიკული გამოცდილების შეძენა რაიონულ სასამართლოში ვიზიტებისა და სასამართლოს იმიტირებული პროცესების გზით შეუძლიათ.

კვლევაში მონაწილე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა ასევე სურვილი გამოთქვეს მომავალში იმუშაონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

დ) შეჯამება

სტუდენტების უმრავლესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ კურსებში შედარებითი სამართლის მეთოდით სწავლას, სადაც სტუდენტები ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ეროვნულ მექანიზმებთან და პრაქტიკასთან ერთად, ასევე რეგიონულ (ევროპის) მექანიზმებსა და პრაქტიკასაც შეისწავლიან.

ამავე დროს სტუდენტები თანხმდებიან, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების კითხვა და ანალიზი მათ კრიტიკული ანალიზის უნარებს უვითარებს და შესაბამისად, ეს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კურსებში მათ პრაქტიკული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. გამონაკლისია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტებს საკონსტიტუციო სამართლის კლინიკაში და ადამიანის უფლებების შესახებ იმიტირებულ სასამართლო პროცესებში შეეძლოთ ასეთი გამოცდილების შეძენა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ასევე მიუთითეს არჩევით საგნებზე, სადაც მათ პრაქტიკული გამოცდილების მიღება შეეძლოთ, როგორც არის ადამიანის უფლებების სამართლის კლინიკა, ასევე სტუდენტური კინო კლუბი სადაც ისინი ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ ექსპერტებთან ერთად მსჯელობენ.

პრაქტიკული გამოცდილების კუთხით ყველაზე დიდი დანაკლისი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამოიკვეთა. ზოგადად, სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პრაქტიკული გამოცდილების მიღება მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ ასეთი გამოცდილება მხოლოდ საჯარო ლექციების, კონფერენციებისა და სტუდენტების მიერ ორგანიზებული იმიტირებული პროცესების შეჯიბრების საფუძველზე შეიძინეს.

დამსაქმებლების შეფასებები ადამიანის უფლებების სამართლის სწავლების შესახებ

ადამიანის უფლებათა ცოდნის კუთხით თბილისისა და რეგიონების დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამებში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სწავლება ერთი საბაზისო კურსით შემოიფარგლება, რაც ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სამართლის სათანადოდ შესწავლას. ისინი მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებათა ძირითადი საკითხების შესახებ საგნების უმრავლესობა უნდა იყოს სავალდებულო და არა არჩევითი. ამასთან, დამსაქმებლებს მიაჩნიათ, რომ სტუდენტები უფრო

აქტიურად უნდა ჩაერთონ არაფორმალური განათლების აქტივობებში, რისთვისაც მეტი არაფორმალური განათლების ღონისძიების ინტეგრირებაა საჭირო საუნივერსიტეტო სივრცეში.

დამსაქმებელთა უმრავლესობა უთითებს, რომ სტუდენტებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ნაკლები ცოდნა აქვთ. ერთ-ერთი დამსაქმებლის მიხედვით, სტუდენტებს არასაკმარისი ცოდნა აქვთ ადამიანის უფლებათა სამართლის თანამედროვე გამოწვევების შესახებ, განსაკუთრებით კი გამოყოფენ ოჯახში ძალადობასთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. დამსაქმებლები ასევე აღნიშნავენ, რომ ხშირად სტუდენტებმა არ იციან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობისა და გადაწყვეტილებების შესახებ საბაზისო საკითხები და აღნიშნულს ნაწილობრივ დაბალი ენობრივი კომპეტენციით ხსნიან. ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ სტუდენტებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ნაკლებად აინტერესებთ, რადგან ამ მიმართულებით შეზღუდულია დასაქმების შესაძლებლობები. ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლების გაუმჯობესების შესაძლებლობად კი იურიდიული პროფესიის მომწესრიგებელი სტანდარტის შეცვლას მიიჩნევენ.

დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ინტერვიუებზე ყურადღება ასევე გამახვილდა იმ უნარებზე, რაც მათი პერსპექტივიდან მნიშვნელოვანია სტუდენტების დასაქმებისთვის. მაგალითად, მათ აღნიშნეს, რომ ადამიანის უფლებების მიმართულებით დასაქმებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად ჰქონდეთ შემდეგი უნარები:

- სტრუქტურულად გამართულად წერა;
- კვლევითი უნარები;
- ანალიტიკური აზროვნება;
- პროფესიული უცხო ენის ცოდნა;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შედარებითი ანალიზის უნარი.

„ჰუდოკის ბაზის გამოყენება, რომ შეეძლოს გადაწყვეტილებების მოძიება და გაანალიზება, იცნობდეს პრეცედენტებს, პრაქტიკას, რა გამოწვევები აქვს ამ კუთხით საქართველოს, მათ შორის ქართულ სასამართლოებს და შეეძლოს ამ ყველაფრის [...] კვლევა, ანალიზი და ამ ყველაფრის შემდეგ მიწოდება...“

დამსაქმებელი, საჯარო სექტორის წარმომადგენელი, თბილისი

„ძირითადი მოლოდინები რაც გვაქვს არის ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ პრაქტიკა იცოდნენ და სამართალწარმოებაც სასურველია. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და ზოგადად ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ვთქვათ, დაცვის სფერო და ასევე, სასურველია ხოლმე, იცოდნენ ისეთი ინსტიტუტები როგორ ფუნქციონირებენ, როგორც

არის სახალხო დამცველი, ხო, რა არის, რა მანდატი აქვს და შესაბამისად, ამ კუთხით რომ აღარ მოგვიჩიოს დამატებით ჩვენ ახსნა.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, თბილისი

„პრინციპების დონეზეც თუ იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას მისაღები არის. თუმცა, ვითხოვთ, რომ შეეძლოს წერა, სტრუქტურული წერა. შეეძლოს დოკუმენტის სტრუქტურა დააწყოს. წარმოადგინოს სქემატურად როგორი უნდა იყოს და შემდეგ „დადრაფტოს“. ვითხოვთ, რომ ქონდეს კვლევის უნარი და ვითხოვთ, რომ იცოდეს რომელიმე უცხო ენა, ინგლისური, გერმანული ან ფრანგული და ეს უცხო ენა იმ დონეზე უნდა იცოდეს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება წაიკითხოს და გაიგოს.“

დამსაქმებელი, საჯარო სექტორის წარმომადგენელი, ბათუმი

კვლევაში მონაწილე დამსაქმებლებმა ასევე დაასახელეს რამდენიმე უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებულებსაც მათი მოსაზრებით შედარებით უკეთესი ცოდნა აქვთ ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართულებით. დამსაქმებლების ნაწილის აზრით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შედარებით კარგი თეორიული ცოდნა აქვთ, ისევე როგორც თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს. ამასთან, ამ უკანასკნელის კურსდამთავრებულებს პროფესიული უცხო ენის შედარებით უკეთესი ცოდნა და ასევე უკეთესი პროფესიული უნარები აქვთ. აღნიშნული უნივერსიტეტების გარდა, ერთ-ერთმა დამსაქმებელმა ასევე გამოკვეთა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

„უნივერსიტეტებიდან გვყავს მხოლოდ ორი უნივერსიტეტიდან, ანუ ჩვენ ზოგადად გვინდა რომ ბათუმიდან იყოს ხალხი, რა თქმა უნდა და პრიორიტეტს მივანიჭებდით კიდევ ბათუმის უნივერსიტეტს, თუ იქნება სათანადო კადრი. თუმცა, დღეს რეალობა ისეთი არის რომ ორი უნივერსიტეტიდან გვყავს მხოლოდ. დეპარტამენტში არის დაახლოებით ჩვიდმეტი ადამიანი, აქედან თუ არ ვცდები, სამს აქვს თავისუფალი უნივერსიტეტი დამთავრებული და დანარჩენ თოთხმეტს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი... რაც მე მახსოვს, არასდროს არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტს ტესტირება ჩაებარებინოს. პირველი ეტაპი მაინც გადაეღახოს სტაჟირების კონკურსის.“

საჯარო სექტორის წარმომადგენელი, ბათუმი

„ჩვენთვის, მაგალითად, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ყოველთვის ტოვებს თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები. თუმცაღა ბოლო ორი, სამი წლის განმავლობაში ძალიან კარგ შედეგებს ვხედავ, როგორც საერთაშორისო შეჯიბრებებიდან ასევე ლექციების კუთხით, თსუ-ს. ოღონდ სრული სერიოზულობით. ეს ალბათ გამოწვეულია იმით, რომ გარკვეულწილად კონკურენტუნარიანობა გაიზარდა უნივერსიტეტებს შორის და შესაბამისად, თსუ-ს სტუდენტები აი, განსაკუთრებით ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ბევრად მეტ წარმატებას აღწევენ. ამავე დროს, ამ ორ უნივერსიტეტს არ შემიძლია, რომ არ დავამატო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმიტომ, რომ მართლა ძალიან კარგ შედეგებს ვხედავთ ხოლმე ჩვენ როდესაც გვაქვს ხოლმე გარკვეული

აქტივობა... მართალია ეს ორი უნივერსიტეტი ლიდერობს, მაგრამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიც ძალიან კარგია.“
არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, თბილისი

დამსაქმებლები ასევე აღნიშნავენ გამოწვევებს, რომლებსაც ადამიანის უფლებების ცოდნისა და უნარების კუთხით აწყდებიან უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებთან. ამ კუთხით განსაკუთრებით გამოიყო პროფესიული უნარები, როგორებიც არის:

- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- სამართლებრივი წერის უნარი;
- სამართლებრივი არგუმენტების განვითარებისა და მსჯელობის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების უნარი.

დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ სასკოლო და უმაღლესი განათლების ეტაპზე სათანადო ყურადღება არ ეთმობა ანალიტიკური უნარების გამომუშავებას, რის გამოც პროფესიული უნარების შექმნა, ხშირ შემთხვევაში, სამუშაო ადგილზე ხდება.

„ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, როგორც სკოლაში, ისევე უნივერსიტეტში და ამას არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ ადამიანის უფლებების თემას უკავშირდება, რომ ვსწავლობთ თეორიას, მაგრამ ანალიზის უნარი არ გვივითარდება, არ გვივითარდება კრიტიკული აზროვნება და განვითარებაზე ორიენტირება და იგივე ის, რასაც ვსწავლობთ ის როგორ გადავიტანოთ და დავაკავშიროთ ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკას. აი, ამ ნაწილში ვფიქრობ, რომ სერიოზული პრობლემები გვაქვს.“
საჯარო სექტორის წარმომადგენელი, თბილისი

„როგორც წესი, პირდაპირ უნივერსიტეტიდან როდესაც მოდის ადამიანი თუ რაიმე სხვა სამუშაო გამოცდილება არა აქვს, ჭირს რომ დიდი დროის გასვლის გარეშე მიანდო რაღაც ისეთი საქმე... ეს შეიძლება, რაღაც კუთხით, გასაგებიც იყოს, როდესაც პირდაპირ უნივერსიტეტიდან მოდის, ბუნებრივია, რომ დრო ჭირდება ამას მაინც. როგორც წესი, რაც ისედაც უნდა იცოდეს უნივერსიტეტიდან გამოსულმა ადამიანმა და არ იცის, ეს არის კვლევა, წერა, დასაბუთება, თორე დანარჩენი არც მოეთხოვება.“
არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, თბილისი

კვლევაში მონაწილე დამსაქმებლები რეგიონებიდან აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტებში ნაკლები ყურადღება ეთმობა პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარებას და კურსები ძირითადად თეორიული ცოდნის გამომუშავებაზეა ორიენტირებული. ნაწილი მიიჩნევს, რომ პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტებს ჰქონდეთ სტაჟირების შესაძლებლობები.

„სამართლებრივი არგუმენტაციის და სამართლებრივი ანალიზის უნარი აქვთ ხოლმე ნაკლებად. შესაბამისად, ეს ადასტურებს იმას, რომ თვითონ უნივერსიტეტი და სასწავლებელი ამ კუთხით არ მუშაობს ანუ მიწევს ამ შემთხვევაში, მე როგორც მენტორი, ასე ვთქვათ, რომ მივუთითო, რა მიმართულებით უნდა დაწეროს განცხადება... უჭირთ ხოლმე ამ არგუმენტაციისა და იგივე ფაქტობრივი გარემოებების გამოყოფა მოსაზრებებისგან, არგუმენტირება რა თქმა უნდა, რთული არის და უჭირთ და ამ კუთხით, ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტმა მეტი უნდა გააკეთოს, მეტი პრაქტიკული სამუშაო უნდა ჩაუტაროს.“

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, გორი

დამსაქმებლების ნაწილს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტებში სასურველია პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით სასწავლო პროცესში ჩაერთონ პრაქტიკოსი იურისტები, რომლებსაც განვითარებული აქვთ ასეთი უნარები და შეუძლიათ სტუდენტებს უკეთ ასწავლონ, ვიდრე თეორეტიკოსმა პროფესორებმა.

შეჯამება

თბილისსა და რეგიონებში ადამიანის უფლებათა ცოდნის კუთხით დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამებში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სწავლება ერთი საბაზისო კურსით შემოიფარგლება, რაც ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სამართლის სათანადოდ შესწავლას.

დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებათა ძირითადი საკითხების შესახებ საგნების უმრავლესობა არ უნდა იყოს არჩევითი და მათ სავალდებულო ხასიათი უნდა ჰქონდეს.

დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ სწავლების დროს საკმარისი ყურადღება არ ეთმობა ადამიანის უფლებათა სამართლის საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო აქტებით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დამსაქმებლები ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის უფლებათა შესახებ სალექციო კურსებში პრაქტიკული და პროფესიული უნარების გამომუშავებაზე, როგორც არის გადაწყვეტილებების კვლევის, სტრუქტურირებული სამართლებრივი წერის და კრიტიკული ანალიზის უნარები, ასევე მათ მიაჩნიათ, რომ სტუდენტები აქტიურად უნდა ეწეოდნენ სამართლის კლინიკებში საქმიანობას.

დამსაქმებლების ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის უკეთ სწავლების კუთხით იურიდიული პროფესიის მომაწესრიგებელი სტანდარტი უნდა შეიცვალოს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით

ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით საქართველოს სახალხო დამცველისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა სამართლის საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში, როგორც წესი, შემდეგ ძირითად მიმართულებებს მოიცავს:

- სავალდებულო აკადემიური განათლების ფარგლებში სახალხო დამცველის საქმიანობის სწავლება;
- პრაქტიკული განათლების მიმართულებით თანამშრომლობა.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ სავალდებულო კურსებში, საუკეთესო შემთხვევაში, სტუდენტები საქართველოს სახალხო დამცველის მანდატსა და უფლებამოსილებებს ერთ-ერთ სასწავლო კვირაში სწავლობენ. აღნიშნულ კურსებში არ არის ინტეგრირებული ინფორმაცია სახალხო დამცველის საპარლამენტო, ან სპეციალური ანგარიშების, ასევე საქმეთა შესწავლის შედეგად გამოცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციების თაობაზე. ამასთან, შესაბამისი უფლებების შესწავლისას, სტუდენტები არ იღებენ ცოდნას საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი სხვა სახის გამოწვევებზე.

*„ნებისმიერ უფლებაზე საინტერესო იქნებოდა სახალხო დამცველის ანგარიშები.“
სტუდენტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

გამონაკლის შემთხვევებში, ზემოხსენებულ კურსებში ასახულია სახალხო დამცველის საქმიანობის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელების გზით ადამიანის უფლებების დაცვას გულისხმობს. კერძოდ, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის სავალდებულო კურსებში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციურ სარჩელებს და მათ საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები ასევე საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის კურსში სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ სარჩელებზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებს ამზადებენ.

*„მნიშვნელოვანი თანამშრომლობა გვექონდა უნივერსიტეტს დიდი ხნის განმავლობაში
საკონსტიტუციო სასამართლოსთან, დღემდე ვთანამშრომლობთ სახალხო
დამცველთან.“*

ლექტორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გამოცდილება უფრო მეტად პრაქტიკული სწავლების მიმართულებით აქვს. კერძოდ, მას არაერთ უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ასეთი თანამშრომლობა, როგორც წესი, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას ისახავს მიზნად. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ სტაჟირების პროცესის ცენტრალიზებულად წარმართვის, ასევე COVID-19-ით განპირობებული დისტანციურ რეჟიმში მუშაობის გამო, აპარატში სტაჟირების შესაძლებლობები შეზღუდულია.⁴⁰

პრაქტიკული განათლების მიმართულებით პოზიტიური გამოწვევისაა სახალხო დამცველის აპარატისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის თანამშრომლობა. აღნიშნული კონსტიტუციურ სარჩელებსა და სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებზე ერთობლივ მუშაობასაც გულისხმობს. სტუდენტები ადამიანის უფლებების შესახებ სარჩელებზე მუშაობენ, ან ამზადებენ შესაბამის კვლევას აკადემიური ხელმძღვანლის ზედამხედველობით, რასაც საბოლოოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგენენ. აღნიშნული თანამშრომლობა საუკეთესო პრაქტიკაა, რადგან სტუდენტები იძენენ შესაბამის ცოდნას ადამიანის შესაბამისი უფლების ჭრილში არსებულ გამოწვევებზე. ისინი კვლევითი და წერითი უნარების გზით დამოუკიდებლად ამუშავენ ადამიანის უფლებების სხვადასხვა პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს არჩევითი პრაქტიკული კურსები ადამიანის უფლებების მიმართულებით. ამავე უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების მიმართულებისა და ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკის ხელმძღვანელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებების კლინიკის ბაზაზე სტუდენტები მისი ხელმძღვანელობით სამართლებრივ დოკუმენტებს ამზადებენ, რომლის საფუძველზეც ხდება საქმეების ინიცირება საქართველოს სახალხო დამცველთან. შესაბამისად, კლინიკის სტუდენტები ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის საფუძველზე, ხშირად მიმართავენ სახალხო დამცველს. აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის ადამიანის უფლებათა სამართლის კლინიკა არჩევითი კურსია და ყველა სტუდენტი მასში არ იღებს მონაწილეობას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უნივერსიტეტებთან არაფორმალური განათლების მიმართულებითაც თანამშრომლობს. ეს, როგორც წესი, სტუდენტებთან და პროფესორებთან შეხვედრების წახალისებასა და კონფერენციების ორგანიზებას გულისხმობს. არაფორმალური განათლების მიმართულებით კარგი პრაქტიკა აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა მიმართულებას. ამ მიმართულების ხელმძღვანელი ინტერვიუში ამბობს, რომ ისინი, ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების

⁴⁰ იხილეთ COVID-19 პანდემიის დროს სტუდენტების იურიდიული პრაქტიკის შესაძლებლობების შეფასების კვლევა“ ნ. ხანთაძე, 2020 წელი, გვ.14 < <https://bit.ly/3co6C7c> >

მიზნით, სისტემატურად იწვევენ სახალხო დამცველის აპარატის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებს ორგანიზებულ ღონისძიებებში, კამპანიებსა თუ ადამიანის უფლებათა კინო-კლუბში მონაწილეობისთვის.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ძირითადი მიგნებები

შესწავლილი სამართლის სკოლებისა და იურიდიული ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებში ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლების კუთხით გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- პროგრამების უმრავლესობაში სტუდენტები ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნას, ძირითადად, ერთი სავალდებულო კურსის საფუძველზე იძენენ;
- ძირითადი სავალდებულო კურსის მიზანი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დაცული ადამიანის უფლებების შინაარსის შესწავლაა. ამასთან, როგორც წესი, სავალდებულო კურსების ფარგლებში სტუდენტებს უშუალოდ უფლებების შინაარსის შესწავლა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე არ მოეთხოვებათ. კურსების სილაბუსები მხოლოდ რამდენიმე გამონაკლის შემთხვევაში ითვალისწინებს სტუდენტის მიერ უშუალოდ ასეთი გადაწყვეტილებების კითხვისა და ანალიზის ვალდებულებას;
- სავალდებულო კურსებში სწავლება ძირითადად ქართულენოვანი ლიტერატურის საფუძველზე ხდება, რომელიც რიგ შემთხვევებში მოძველებულია;
- რამდენიმე გამონაკლის შემთხვევაში, ხდება ადამიანის ძირითადი უფლებების შედარებით-სამართლებრივ პერსპექტივაში შესწავლა - ევროპულ, აშშ-ის და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების საკონსტიტუციო/უზენაესი სასამართლოების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების საფუძველზე;
- პროგრამების უმრავლესობაში, სავალდებულო კურსის ფარგლებში სტუდენტები ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ევროპულ სამართალს არ შეისწავლიან;
- პროგრამების უმრავლესობაში სტუდენტები ადამიანის უფლებათა სამართალს შეისწავლიან თეორიულად და სამართლის საბაკალავრო პროგრამების აბსოლუტური უმრავლესობა (ერთი გამონაკლისის გარდა) სავალდებულო კურსის სახით არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებების სამართლის მიმართულებით უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ან/და პრაქტიკულ კურსებს;
- პროგრამების უმრავლესობაში (ერთი გამონაკლისის გარდა) სტუდენტები სავალდებულო კურსებში ადამიანის უფლებების სამართლის მიმართულებით

საქმიანობის გამოცდილებას არ იძენენ და შესაბამისად, სწავლის დასრულების შემდეგ არ აქვთ ამ მიმართულებით საქმიანობისთვის აუცილებელი მინიმალური პროფესიული და პრაქტიკული უნარები;

- რეგიონულ უნივერსიტეტებში გამოწვევაა სავალდებულო კურსებში შესაბამისი კომპეტენციის მქონე ლექტორების ნაკლებობა.

რეკომენდაციები საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო კურსებში ადამიანის უფლებების სწავლება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო კურსებში ადამიანის უფლებების სწავლებისას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტის მიერ კითხვისა და კრიტიკული ანალიზის უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ სწავლის მეთოდებსა და დავალებებს;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო კურსებში, შესაბამისი ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებების სწავლებისას მეტად უნდა იყოს ინტეგრირებული უცხოენოვანი ლიტერატურა, მინიმუმ დამხმარე ლიტერატურის სახით;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო კურსებში სტუდენტები მეტად უნდა ეცნობოდნენ ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს - სახალხო დამცველის წლიური და სპეციალური ანგარიშების, ასევე უფლებადაცვითი ორგანიზაციების ანგარიშების შესაბამისი ნაწილების კურსებში დამხმარე ინფორმაციის წყაროების სახით ინტეგრაციის გზით, ასევე შესაბამის აქტუალურ საკითხებზე სახალხო დამცველის აპარატისა და უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციებიდან თანამშრომლების მოწვეული მომხსენებლის ფორმით ჩართვის გზით;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო კურსებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის უფლებათა სამართლის შედარებით პერსპექტივაში შესწავლას. ეს შესაძლებელია, როგორც კურსით გათვალისწინებული საკითხების შედარებით პერსპექტივაში განხილვისა და სწავლების გზით, ისე ცალკე სავალდებულო კურსების საფუძველზე.

- სამართლის საბაკალავრო პროგრამებში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესწავლა უნდა განხორციელდეს როგორც თეორიული, ისე უნარების განვითარებაზე ორიენტირებული და პრაქტიკული კურსების საფუძველზე;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამები სავალდებულო სახით უნდა ითვალისწინებდეს ე.წ. გამოცდილების მიღებაზე ორიენტირებული კურსების საფუძველზე ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართულებით სავალდებულო სასწავლო კრედიტების დაგროვების შესაძლებლობას; შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნდა ჰქონდეს ვალდებულება დააგროვოს სავალდებულო სასწავლო კრედიტები უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ე.წ. რეალურ გამოცდილებაზე დაფუძნებულ კურსებში როგორც არის ე.წ. რეალური კლიენტების კლინიკა, რომელიც ადამიანის უფლებათა სამართალშია სპეციალიზირებული; ან ადამიანის უფლებებში სპეციალიზირებული სამართლის სტაჟირების პროგრამა; ან ადამიანის უფლებების სამართალში სპეციალიზირებული იმიტირებული სასამართლო პროცესების კურსი.
- რეგიონულ უნივერსიტეტებში მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ადგილზე არსებული უნივერსიტეტის გარეთ არსებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლების პროცესში.